პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 196 (18738) პარასკევი, 26 აგვისტო 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილა 1983-1984 წლების ზამთრის პირობებში საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების საბინაო ფონდისა და თბომეურნეობის საექსპლოატაციოდ მომზადებისათვის მუშაობის საკითხი.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონული ცენტრის კომუნალურმა სამსახურებმა შეიმუშავეს ზამთრის სეზონისათვის საბინაო-კომუნალური ობიექტების მომზადების კომპლექსური ღონისძიებანი, მიმდინარეობს მათი შესრულების სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, როგორიც არის საცხოვრებელი სახლების დროული რემონტი და მათი მოვლა-დაცვის გაუმჯობესება, თბომეურნეობის მზადყოფნის ამაღლება, სათბობის ნორმატიული მარაგის შექმნა. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაევალათ შეათანხმონ და წარმართონ შესაბამისი სამსახურების მუშაობა ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს სხდომაზე განიხილეს პარტიული კომიტეტების ლექტორებთან შემოსულ საკითხებზე მუშაობის წესის სრულყოფის ღონისძიებანი.

პარტიული კომიტეტების ლექტორებთან შემოსულ საკითხებზე მუშაობის უკანასკნელ დროს შექმნილი პრაქტიკა მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და პროპაგანდისტული მუშაობის ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებას, მასებთან პარტიის კავშირის განმტკიცებას, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების განვითარებას, საზოგადოებრივი აზრის, ადამიანების რეალური მოთხოვნილებების შესწავლას. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა განსაზღვრა ამ მიმართულებით პარტიული კომიტეტების მუშაობის შემდგომი გაღრმავების, გაფართოებისა და კონკრეტიზაციის ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მიერ დასახული ახალი პასუხსაგები ამოცანების შესაბამისად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები.

„საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის. შვიდი თვის პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა. დაევალის საგრძნობი გადამეტებით დამზადდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციაც. შრომის ნაყოფიერება შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 7,5 პროცენტით გაიზარდა.

ს ურ ა თ ო ზ ე: თქვენ ხედავთ გაერთიანების ძრავების ამწყობს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ზეინაბ ჩერქეზიშვილს, იგი ყოველდღიურ დავალებას 180 პროცენტით ასრულებს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

წინ რთველია!

ეკონომიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

გორის საფეიქრო გიგანტი: გუშინ, დღეს, ხვალ

ეკონომიკური ბრძოლა, მეტად ძნელი წელიწადი გვაქვს, — გულდაწყვეტილი ამბობენ კახეთში, მაგრამ ეს დალოცვილი ვაზი ქართველი გლეხკაცივით გამძლე და გაუტეხელია. ვაზების დიდსტაჟიანი წელიწადის მოშუშებული ნაიარავები მეზვრისა და ვაზის მარადიულ სიყვარულსა და ერთგულებაზე მეტყველებენ. ვინ მოსთვლის, ამ სიმწიფეში შესული მტევნების გამო ჩვენმა მევენახეებმა რამდენი გულისხვეთქა გადაიტანეს, რამდენი ენერგია და ძალა დახარჯეს, რომ სტიქიისაგან დაეცვათ, უკლებლივ შეეინარჩუნებინათ იგი.

სტიქიაგამოვლილი ვენახი სულ მალე მერთვლეს მოუხმობს, რომ დიდი შრომითა და ოფლით შენარჩუნებული ჭირნახული მარნებში უკლებლივ დაბინავდეს.

ვიდრე რთველი დაიწყებოდეს, მევენახეებსაც და მემარნეებსაც აუარებელი საქმე აქვთ გასაკეთებელი. მევენახეობის საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელობამ, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კომფონტბმა, ყველა მზრომელმა ისე უნდა დააყენონ საქმე, რომ სართველო კონვეიერმა ვენახი-ტრანსპორტი-მარანი გამართულად და შეუფერხებლივ იმოქმედოს. ერთი შეხედვით, საქმეში გაურკვეველ კაცს შეიძლება მოეჩვენოს, თითქოს რთველამდე ვენახებში აღარაფერი იყოს გასაკეთებელი: ზვრები საიმედოდ დაცულია, რწყვა აღარ არის საჭირო, ყურძენი დამწიფდება და მოკვრეფო. მაგრამ ასე არ არის საქმე: სავენახე გზები იდეალურად უნდა კეთილმოეწყოს, წვიმამ ვერაფერი დააკლოს და ტრანსპორტი არ მოცდეს; ყურძნის საკრეფი ინვენტარი ყველა მკრეფავს უნდა შეხვდეს, არც დამხმარეები უნდა დაავიწყდეთ; ტრანსპორტი ხომ მთლიანად გამართული უნდა იყოს. რაც მთავარია, მერთვლეთა გუნება-განწყობილება რომ მართლაც სართველო იყოს, საჭიროა აქედანვე გერგილიანად ვიზრუნოთ მათი დროული და რიგიანი კვებასათვის, არაფერი არ უნდა მოვაკლოთ, ვენახებში ისინი ყველაფერს საჭიროს უნდა იღებდნენ. ამაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან ვაჭრობისა და საწყვების მუშაკებმა.

ყველაფერი ისე უნდა მოვაწყოთ, რომ რთველი თავის დროზე დაიწყოს და დროზეც ჩათავდეს, ყურძენის არც ერთი მტევანიც არ დაიკარგოს. მაგრამ რედაქციაში მიღებული ცნობებისა და სიგნალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზოგან სართველო მზადებას ვინ ჩივის, ვენახებიც დაავიწყდათ, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის რაიონების ზოგიერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში ავდრების გამო ვენახებში ნიადაგი დროზე ვერ დაამუშავეს და ბალახი მოერია. ეს, რა თქმა უნდა, ყურძნის გამოსავლიანობას აშცირებს. გაზაფხულზე კვირტის დაძვრის დროს მცხეთის რაიონის მთელ რიგ მეურნეობებში ვაზები მოიყინა ამის გამო, რომ მისგან დაუცველი იყო. გამვლელსაც კი გულს უკლავდა ერთობ გაჩანაგებული, მოუვლელი, ვენახები. არასახიმოვნო სურათს ვაწყდებით აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მევენახეობის მთელ რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ახლა, როცა რთველი მოახლოვდა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე. რომ გაზაფხულ-ზაფხულის ზარალს ახალიც არ მიუმატონ, ვაზს რაც შერჩა, ის მაინც უკლებლივ მიიტანონ სახელმწიფო მარაგში.

წინათ მეზვრე თვითონვე იყო მეღვინე. ამიტომ ქართული ზვარმარანი განუყოფელი გახლდათ, ყველა ცდილობდა სანიმუშოდ, შვილივით მოვლილი ვენახი ჰქონოდა და საუცხოო ღვინოები დაეყენებინა. საუკუნეების მანძილზე იხვეჭდა სახელს ქართველი მეზვრე-მემარნე, თანდათან ფართოვდებოდა ჩვენი ღვინის გავრცელების არე, და თუ დღეს მან მსოფლიო აღიარება, უამრავი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ეს საქართველოს მევენახეებისა და მეღვინეების ერთობლივი ენერგიისა და ჭკუა-გონების, შეხმატკბილებული შრომის შედეგია.

რთველისათვის, სანაქებო ღვინოების დასაყენებლად მევენახეებთან ერთად მეღვინეებიც საგულდაგულოდ უნდა ემზადებოდნენ. ან კი რად გაყო მათი საქმე — კარგად დამკრასული ყურძნიდან ქვეყნის ერთგულ მემარნეს კარგი ღვინოების დაყენება როდი გაუჭირდება. მათ უნდა შეავახსენოთ პოეტის ნათქვამი: „ამავსებ ღვინით, აგავსებ ლხინით, შესვი? გაამოს!“. მაშასადამე, ღვინო ისეთი რამ არის, რომ ადამიანს ლხინით აღავსებს და სიამეს მოჰგვრის. ამის დავიწყება ისაა ემგვანება, რომ ეჭიმმა ფიცს უღალატოს. და ეს ხომ ერის ღალატს უდრის!

წელს გაერთიანება „სამტრესტის“ მაგივრად შეიქმნა რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი. ეს უბრალო ანტი კი არ არის, არამედ ეროვნული საქმის, საქვეყნოდ თავგამოსაჩენი საქმის თავდგომის დიდი ღონისძიებაა, რომელიც უთუოდ დიდ ნაყოფს გამოიღებს და ქართულ ღვინოებსა და კონიაკებს საკავშირო, თვით საერთაშორისო ასპარეზზეც კლავ დაუბრუნებს ამ ძველ სახელსა და დიდებას, ჩვენმა მევენახეებმა და მეღვინეებმა მრავალი წლის დაუღალავი შრომითა და რუდუნებით რომ მოუპოვეს.

წელს მეღვინეებსაც დიდი შრომა და საზრიანი მოქმედება მოუწევთ, რომ ნახეტყვი ყურძნიდან მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები დააყენონ. ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი წელს საგანგებოდ მოემზადა იმისათვის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის რთველს მომზადებული შეხვდნენ და შეუფერხებლად გადაამუშაოს ყურძენი. სამაგალითოდ მოემზადნენ თელავის რაიონის ღვინის ქარხნები. აქ ყველაფერი მზად არის იმისათვის, რომ ყურძენი შეუფერხებლად მიიღონ და გადაამუშაონ. „თელავი-2“ და ნაფარეულის ღვინის ქარხნებში (დირექტორები — ა. ბარხუდანაშვილი და ზ. ხიდაშელი) ყურძნის სიტკბოს განმსაზღვრელი და საწური დანადგარები, სასწერები, ჭურჭელი გამზადებულია. ახევე კარგად ემზადებიან ხიღნაღის ღვინის ქარხნები (გაერთიანების დირექტორი გ. ბუწაშვილი), რთველისათვის. აქ ცხელმა ზაფხულმა ხომ ადრე დაამწიფა ყურძენი და ალბათ მალე გაიღება მარნები.

გურჯაანის რაიონშიც ადრე იცის ხოლმე რთველი, მაგრამ აქ ზოგიერთი ქარხანა საამისოდ მთლიანად ხომ კი მზად როდია. „მუკუზანი-2“ ქარხანაში (დირექტორი — გ. სიხარულიძე) ყველაფერი წესრიგში არ არის, დანადგარების ნაწილი შეუკეთებელი და შეუღებავია, კარ-მიდამო მოუვლელი. რაიონის გაერთიანებას (დირექტორი ა. უტიაშვილი) დიდი მუშაობა მოუწევს, რომ რთველის დადგომამდე დარჩენილ დროში ქარხანა წესრიგში მოიყვანოს.

რთველი ქართლისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებში მოგვიანებით იწყება. აქაურ მევენახეებსა და მეღვინეებს მოსამზადებლად დრო მეტი აქვთ, მაგრამ ადრე და გულდაჯერებით ნაკეთები საქმე უკეთესი რომ არის, ეს მათ კარგად მოეხსენებათ.

წინ მეთერთმეტე ხუთწლედის მესამე წლის რთველია. მევენახეებო და მეღვინეებო, სოფლის მშრომელებო, მომზადებული შეხვდეთ რთველს — წლის ამ გვირგვინს, სანაქებო ქართული ღვინოები დავაყენოთ და მივაწოდოთ ჩვენს მშრომელებს!

გორის საფეიქრო გიგანტი: გუშინ, დღეს, ხვალ

ოცდაათი წლის წინათ მოვიდა ლამარა თინიკაშვილი გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანებაში. საწარმო ის-ის იყო თავის პირველ ნაბიჯებს დგამდა, მომავალი ფეიქრები მაშინ რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკების საწარმოებში ეუფლებოდნენ პროფესიას.

დიახ, ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, ვეტერანი ფეიქარი დღესაც სართავ დაზგებთან ტრიალებს, ქვეყნისათვის საჭირო პროდუქციასაც ქმნის და ახალგაზრდა მუშებსაც ამზადებს, ნაყოფიერ დამრიგებლობას ეწევა.

— გაერთიანება, მისი მრავალათასიანი კოლექტივი, — ამბობს ამაგდარი ვეტერანი, — ჩემ თვალწინ იბადებოდა, იზრდებოდა, დულაბდებოდა, ბუნებრივია, სამი ათეული წლის მანძილზე ჩვენთან ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ის, რაც უკანასკნელ ოთხ წელიწადში გაკეთდა, ალბათ, განვლილ ათწლეულს აიწონის. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს გაერთიანების ეტაპობრივი რეკონსტრუქცია-განახლების უდიდესი მოცულობის სამუშაოები, რომლებიც დღეს სრულდება.

ტექნიკურ პროგრესს გაერთიანებაში სათავე დაუდო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 4 სექტემბრის დადგენილებამ „გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

როცა ამბობენ, ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნააო, ეს სწორედ რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი საფეიქრო გიგანტის — გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების მიმართ ითქმის. დიახაც დროის მოთხოვნაა — მეტი და მაღალხარისხოვანი ქსოვილი მივაწოდოთ ქვეყანას, მთლიანად დავაკმაყოფილოთ ამ მხრივ შრომელთა მზარდი მოთხოვნილებანი.

მთელი თავიანთი მეცადინეობის მიუხედავად, გორელი ფეიქრები წლიდან წლამდე ვერ უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო გეგმების შესრულებას. უმთავრესი მიზეზი — ეს იყო დაბალმწარმოებლური, მორალურად და ფიზიკურად მოძველებული მანქანები და დანადგარები, ფეიქართა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების დაბალი დონე, რაც თავის მხრივ, მუშახელის უკმარისობას ქმნიდა.

დიდი სარეკონსტრუქციო სამუშაოები გაერთიანებაში № 1 სართავ ფაბრიკაში დაიწყო. ამ ფაბრიკის მოსამზადებელი განყოფილება წლების მანძილზე გაერთიანების „ვიწრო ადგილად“ რჩებოდა. კერძოდ, მოსამზადებელი საამქროების ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგარების სამცვლიანი მუშაობაც კი ვერ უზრუნველყოფდა სართავი მანქანების ორცვლიან მუშაობას.

უმოკლეს დროში მოძველებული, შეიძლება ითქვას, უვარგისი საჩეჩი, სავარცხნ-საჩეჩი, სალენტე და საფთილე დაზგები სამაგალო და უცხოური დიდმწარმოებლური მანქანებით შეიცვალა. საამქროების განათებისა და გათბობის სისტემების შეცვლა, სხვა კაპიტალური სამუშაოები ისე, რომ პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი ერთი წუთითაც არ შეფერხებულა, და ჩვენ მივიღებთ იმის ნათელ სურათს, თუ რა შეუძლია კოლექტივს, როდესაც იგი მიზანსწრაფულად და თანამიმდევრულად იბრძვის მის წინაშე მდგომი ამოცანების გადასაწყვეტად.

გაერთიანების რეკონსტრუქციაგანახლება ამით არ დამთავრებულა. იმავე ხანაში უახლესი დანადგარებით დამონტაჟდა სხვა საქსოვი და სართავი ფაბრიკებიც. ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვისა და ნახევარფაბრიკატების ხარისხის გასაუმჯობესებლად კაპიტალურად შეკეთდა № 2 სართავი ფაბრიკის სპენტ-საგრეხი საამქრო, დაინერგა ნარჩენების ავტომატური გამოზიდვის ხაზი და სხვ.

№ 2 სართავ ფაბრიკაში მწყობრში ჩადგა პნევმომექანიკური დართვის უბანი, სადაც 36 დიდმწარმოებლური სართავი მანქანა დაამონტაჟეს. არის სიახლეები საფეიქრო მრეწველობაში. მანქანები საუბალებს იძლევა ერთბაშად შეგამციროთ რთვაში რამდენიმე ოპერაცია და ნაკლები მუშახელით მეტი პროდუქცია გამოვუშვათ. ამ უბანზე დღეს შრომის ნაყოფიერება ჩვეულებრივ 2-2,5-ჯერ მეტია ძველ სართავ მანქანებზე მომუშავე მუშების შრომის ნაყოფიერებასთან შედარებით.

ტექნიკური განახლების პროცესი გაერთიანების სხვა ფაბრიკებსაც შეეხო. ამჟამად № 2 სართავ ფაბრიკაში 200 ახალი საქსოვი დაზგა მონტაჟდება. მათი საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ გაერთიანება წელიწადში საშუალოდ 500 ათასი მანეთით გაზრდის ქსოვილის გამოშვებას.

დაზგები, მანქანები, მექანიკური ტრანსპორტირების საშუალებანი, სავენტილაციო ხაზები, გათბობის სისტემები და ბევრი სხვა სიკეთე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე რომ ხორციელდება, უკვე იძლევა თავის ნაყოფს, ფეიქართა კოლექტივი პარტიის ზრუნვას თავდადებული შრომით უპასუხებს.

შარშან გორელმა ფეიქრებმა 1980 წელთან შედარებით მზა ქსოვილების გამოშვება 350 ათასი მეტრით გაზარდეს, ხამი ქსოვილებისა — 240 ათასი მანეთით.

მათ წარმატებით შეასრულეს მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა, 55 მილიონ 780 ათასი მანეთის ნაცვლად რეალიზებულია 56 მილიონ 986 ათასი მანეთის პროდუქცია. დავალების გადამეტებით 82 ტონა ნორთი, მილიონ 48 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 703 ათასი მეტრი მზა ქსოვილი დამზადდა. გამოშვებული პროდუქციის 34,6 პროცენტს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვს, რაც საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საფეიქრო მრეწველობაში.

რეკონსტრუქცია გრძელდება. იგი მოიცავს სამუშაოთა მთელ კომპლექსს ტექნიკური განახლებით დაწყებული და სასადილოების, დიეტური კუთხეების, გამჯანსაღებელი და დასვენების ოთახებით დამთავრებული. შრომელებს არა მარტო შრომის, საყოფაცხოვრებო პირობებიც საუკეთესო უნდა ჰქონდეთ, — ასე ფიქრობენ გაერთიანებაში, პარტიის გორის საქალაქო კომიტეტში, რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ნითელი დროშა — თბილისის გაერთიანებას

საკავშირო სააქციო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის გაერთიანება მეორე კვარტალის შედეგების მიხედვით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშით.

დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე აღინიშნა, რომ პირველი კვარტალის ჩამორჩენის დაძლევის შემდეგ, გაერთიანების კოლექტივმა მეორე კვარტალში გადაჭარბებით შეასრულა საგეგმო დავალებანი ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, შესამჩნევად გააუმჯობესა უცხოელი და საბჭოთა სტუმრების მომსახურება. ამ მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოსულმა „იფერიისა“ და „აჭარის“ კოლექტივებმა. ამ კოლექტივმა კი მოიპოვა უცხოელ ტურისტთა მიღებისა და მომსახურების მდგომარეობის გამო მოწყობილი დათვალიერების გარდამავალი თასი.

(საქინფორმი).

სუსხიანი სტრიქონები

დგანან და ელიან...

ცხინვალში „ნაცარგორას“ მშენიერ მდამოებში შარშანწინ ზღვა სიხარული იყო. საფუძველი ჩაეყარა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი კომპლექსის მშენებლობას. ეს უნდა იყოს უნიკალური ნაგებობა ვრცელი აუდიტორიებით, სტადიონითა და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკით, საცურაო აუზით... მისი აგებისათვის 3 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

გაიხარეს ახალგაზრდებმა, მადლიერების სიტყვებით მმართეს რესპუბლიკისა და ოლქის პარტიულ ხელმძღვანელებს ესოდენ დიდი ზრუნვისათვის და პირობა დაღეს, რომ არ მოაკლენდნენ მშენებლებს, იმუშავებდნენ მათთან ერთად.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვის შედეგად ცხინვალში საინჟინრო-ტექნიკური კადრების მომზადების მიზნით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სალამოსა და დაუსწრებელი განყოფილებაც გაიხსნა. წლეულს აქ პირველი მიღება იქნება. ეს განყოფილება რაღა შუაშიაო, იკითხავთ თქვენ. ოლქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, როცა პედაგოგიური ინსტიტუტის ახალი კორპუსები აშენდება, ძველი კორპუსები ზემოხსენებულ განყოფილებას უნდა გადაეცეს. ამდენად, გასაგებია როგორი ინტერესით ელის ახალგაზრდობა ინსტიტუტის მშენებლობის დამთავრებას, რომელსაც... ბოლო არ უჩანს. ჯერ ძილი და მერე სიზმარი. როგორია მშენებლობის დასაწყისი, ტემპი? ძალზე ნელი და შეუმჩნეველი! იგი ნაცარწყარილი მუგუზალივით მაშინ გამოანათებს, როცა რკინაბეტონის კონსტრუქციებს მოიტანენ ხოლმე. მერე ისევ იძინებს სამუშაო უბანი. ახლა, ზაფხულის ამ დღეებში მშენებლობაზე კაცის ჭაჭანება არ არის. შინმოუსვლელთა ძგლგლებივთ აღუმართავთ რკინაბეტონის საყრდენი სვეტები, რომლებიც აგერ მესამე წელია დგანან და ელიან სამუშაო ფრონტის გაფართოებას. ვერა და ვერ აეწყო საქმე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. სანაკოევი, საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. კაბულოვი უყურადღებასა და ზრუნვას არ აკლებენ ობიექტს, მაგრამ მაინც ჭირს.

ჭირს იმიტომ, რომ სიტყვას ტენენ მშენებელთა მესვეურები. საქართველოს სახმშენის, სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის, საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მშენინდუსტრიის ტრესტის, ამავე სამინისტროს № 1 მექანიზაციის ტრესტის ხელმძღვანელები. დღემდე დამუშავებული არ არის კომუნიკაციების, სტადიონის, საცურაო აუზის პროექტები, ტერიტორია ვერ განთავისუფლდა მაღალი ძაბვის ხაზებისაგან და სხვ. წასულ გაზაფხულზე რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხელმძღვანელობა ეწვია მშენებლებს. საკუთარი თვალით ნახეს გასაჭირი და ალუთქვეს, რომ ყველაფერი სასწრაფოდ მოგვარდებოდა. მას შემდეგ, სამ თვეზე მეტი გავიდა... დრო მიჰქრის. აკამდე ინსტიტუტის მთავარი კორპუსის მშენებლობა, რიგითი ყურადღება და გულმოდგინება რომ ყოფილიყო, დამთავრებულიც იქნებოდა. აქ კი მხოლოდ მდუმარება სუფევს.

ვილაპარაკოთ ფაქტებით. შარშანწინ გამოყოფილი თანხის 49 პროცენტი აითვისეს. შარშან — 40,7 პროცენტი, წელს კი ექვს თვეში გამოყოფილი 147 ათასი მანეთიდან — მხოლოდ 77 ათასი მანეთი, ყველაზე მეტად რკინაბეტონის სხვადასხვა კონსტრუქციების მიღება გაჭირდა. წლეულს განკუთვნილი 763 კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციებიდან მიღებულია მხოლოდ 248 კუბური მეტრი. სჭირდებათ სვეტები, ფილები, გადასახური პანელები.

— ერთი როგორმე შეიკრას კარკასი და მერე წავა მშენებლობა, — ამბობს „ცხინვალმშენის“ ტრესტის მმართველი სორდან გერგაული.

იგი გამოცდილი მშენებელი ხელმძღვანელია. სულ ერთი წელია, რაც სათავეში ჩაუყენეს „ცხინვალმშენს“, კოლექტივს კი უკვე დაეტყო მზრუნველი ხელი — სრულდება მშენებლობის საერთო გეგმები, მკვიდრდება მომჭირნეობა და ფაირათიანობა, გამრავლდა იჯარით მომუშავე ბრიგადები. დიდად შემცირდა მუშათა დენადობა.

— მუშახელი საკმაოა, თუ საჭირო გახდა, სტუდენტთა სამშენებლო ბრიგადებსაც მოვიშველიებთ. გასული თვეების ჩამორჩენის ანაზღაურება ძნელია, მაგრამ თუ რკინა ბეტონის კონსტრუქციებს საჭირო როდენობით მივიღებთ, ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გაფართოვდეს მშენებლობის ფრონტი და ავითვისოთ მიმდინარე წელს გამოყოფილი თანხა. თქვა დასასრულ ტრესტის მმართველმა ს. გერგაულმა.

ახლა ყველამ ხელი უნდა გამოიღოს, მშენებელთა ხელმძღვანელებმა გულთან უნდა მიიტანონ სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდობის წადილი. სასწრაფო, გადამჭრელი ზომებია საჭირო, რომ მშენებლობის ტემპმა იმატოს.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ვინ როგორ ასრულებს საიუბილეო ვალდებულებებს

პირველ ადგილზე

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სსრ კავშირის 60 წლისთავის სახელობის კაბელის ქარხანა მაღალი შრომითი მაჩვენებლებით ეგებება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. მეორე კვარტალის მაჩვენებლების მიხედვით რაიონის სამრეწველო საწარმოებს შორის ქარხნის კოლექტივმა მეათედ მოიპოვა პირველი ადგილი.

ამ დღეებში მეკაბელეებმა საწარმოს 25 წლისთავი იზეიმეს. ამ იუბილეს კარგი ეკონომიკური მაჩვენებლებით შეხვდნენ. 7 თვის გეგმის გადამეტებით სახალხო მეურნეობას მიაწოდეს 345 ათასი მანეთის საკაბელო ნაწარმი, ვადამდე შესრულდა საკავშირო შეკვეთები, გაიზარდა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის ხვედრითი წილი.

ხუთწლედის მესამე წელს ქარხანაში ყველას უსწრებს მესამე ცვლის კოლექტივი, რომელსაც ანზორ გიორგაძე მეთაურობს. დღიური ნორმების დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მწნეხვაები ა. მოდებაძე, ნ. ჯიქია, მგრეხელი თ. ჯანიაშვილი, ამდიდავი ა. ჯანიაშვილი და სხვები.

ადგილობრივი რესურსები

მახარაძე. („კომუნისტის“ საკ. კორ.). პირუტყვისათვის საუკეთესო საკვები მასის დამზადებაში დაწინაურდნენ სოფელ კონკაკათის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე კ. ჩიხრიბაძე) საკვებმომზადებლები. აქ გონივრულად იყენებენ ადგილობრივი საკვების ყველა რეზერვს. მარტო პალოსტომის ტბისპირა დაბლობებში დამზადდეს და ადგილზე მიზიდეს 169 ტონა თივა.

საკვებდამამზადებლებმა დროულად ჩადეს 130 ტონა სენაჟი. ქებას იმსახურებენ თ. მეშველიანი, ი. კოსტავა, გ. მეშველიანი, ვ. შუბითიძე, ი. არზიანი, გ. არუთიანი და სხვები, რომლებიც თივის დამზადების ყოველდღიურ ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

კონკაკათელებს გადაწყვეტილი აქვთ შემჭიდროებულ ვადებში ჩადონ 500 ტონა სილოსი, ადგილზე გეგმის გადამეტებით დამზადონ სულ ცოტა 120 ტონა თივა, დიდძალი უხეში საკვები.

რაციონალიზატორთა წვლილი

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის ოლქის საწარმოებში, ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 8.100-ზე მეტი რაციონალიზატორი და გამომგონებელია. მიმდინარე ეტაპზე მათი საპატიო ამოცანაა სათანადო წვლილი შეიტანონ მატერიალური და სათბობენერგეტიკული რესურსების ეკონომიის საქმეში. შემუშავებულია პრაქტიკული ღონისძიებათა კომპლექსი. მათ მიერ შემოთავაზებულ წინადადებათა დანერგვით დაიზოგა 5 მილიონამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია, 500 ტონამდე ლითონი.

დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით გამომშვებულია 120 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, აქედან ნახევარზე მეტი სახალხო მოხმარების საქონელია. ოლქის რაციონალიზატორთა მიერ დანერგილ წინადადებათა შედეგად ასიათასობით მანეთი დაიზოგა. განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ცხინვალის ელექტროიზოლაციული მანქანების ქარხნის შემოქმედებითი აზრის ადამიანებმა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე აქ დანერგილმა წინადადებებმა საწარმოს 500 ათას მანეთზე მეტი დაუზოგა, ამით შესრულდა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულება.

გეგმის გადამეტებით

ოჩამჩირე. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გეორგიევსკის „ტრაქტატის“ 200 წლისთავის აღსანიშნავად მაღალნაყოფიერად მუშაობს ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი. საწარმომ გასული წლის ბოლოსათვის შეძლო მიეღწია პროექტით გათვალისწინებული სიმძლავრისათვის. ახლა აქ დღე-ღამეში 630 ტონა პროდუქციას აწარმოებენ და აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს რაიონებს უგზავნიან.

საწარმოს კოლექტივმა კარგად აითვისა ყველა ტექნოლოგიური პროცესი და გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს. ნაცვლად 8.136 ათასი მანეთისა, ექვს თვეში რეალიზებულია 8.414 ათასი მანეთის პროდუქცია. 104 პროცენტით შესრულდა მთლიანი პროდუქციის გამოშვების დავალება. ასევე წარმატებით გაანაღდეს პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების შედეგ თვის გეგმები. საწარმოში საგრძნობლად ამაღლდა პროდუქციის ხარისხი, დაიზოგა 200 ტონამდე ნედლეული.

საპატიო ხუთკუთხედით...

თბილისი. „ბახტრიონის“ ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანებაში ფართოდაა გაშლილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მასში ჩაბმულია ყველა საწარმო-საამქრო, ბრიგადა და უბანი. შეჯამდა პირველი შედეგები. მეორე კვარტალის მოხაცემებით, საიუბილეო შრომითს მეტოქეობაში გაიმარჯვა მეთაური საწარმოს საგამომშვრელო საამქროს კოლექტივმა, რომელსაც ლ. ხურციძე ხელმძღვანელობს.

პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 114,9 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდისა — 129 პროცენტით შესრულდა. გამოვლინდა აგრეთვე გამარჯვებული ბრიგადები, საპრიზო პირველი-მეორე ადგილები თორმეტმა ბრიგადამ დაიყაჟეს.

როგორც გაერთიანების პარტბიუროს მდივანმა დ. დიდებულიძემ გვითხრა, აქაურმა მშრომელებმა შედეგი ვერ ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგეგმა. ეს ეტაპი ბოლოს ეგ

დიდ ამოცანებს —მაღალი პასუხისმგებლობა

იწყება ახალი სასწავლო წელი, ახალგაზრდობის, მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ღუდამ წინ უძღვის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეიქმნას სამედო პირობები მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის გაუმჯობესებისათვის.

ერთ-ერთი ამ ღონისძიებათაგანია მასწავლებელთა აგვისტოს კონფერენციები.

მასწავლებელთა წლევანდელი კონფერენციები განსაკუთრებულია. იგი ემთხვევა პერიოდს, როცა რესპუბლიკის მშრომელები მაღალი აქტიურობის ვითარებაში ემზადებიან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზეიმისათვის; ანასთან იგი განათლების მუშაკთა ასე ფართო მასშტაბის პირველი შეკრებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, რომელმაც საბჭოთა სკოლას დიდი ამოცანები დაუსახა.

ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა საბჭოთა სკოლის თითეული მუშაკისათვის სახელმძღვანელო პროგრამა, ნიმეზედების ნათელი ორიენტირია.

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმის გაუმჯობესების მიზნით სულ უფრო იხვეწება და ახალ ფორმებს იძენს სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის ურთიერთობა. კერძოდ, ჩვენთან, ცხაკაიას რაიონში ბევრი რამ კეთდება „მოზარდი თაობის აღზრდაში ოჯახის როლისა და მშრომელთა პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. დადგენილება განახილეს რაიონის ყველა პირველად პარტიულ ორგანიზაციაში. მოეწყო მშობელთა სოციოლოგიური გამოკითხვა, რაიონული გაზეთის მეშვეობით გაიმართა ფართო დისკუსია სწავლა-აღზრდის საკითხებზე, საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. მშრომელთა წინადადებები, შენიშვნები, სურვილები გავაანალიზეთ მშობელთა რაიონულ კრებებზე, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გვქონდა. კრებამ შეიმუშავა რეკომენდაციები საწარმოებსა და ორგანიზაციებში მშობლებთან მუშაობის კოორდინაციის საკითხებზე. ახლა საწარმოთა და დაწესებულებათა პირველად-პარტორგანიზაციები, პროფკავშირის ადგილკომები სისტემატურად ინტერესდებიან თავიანთ თანამშრომელთა ბავშვების სწავლისა და ყოფა-ქცევის საკითხებით.

სერიოზული ყურადღება ექცევა მუშაობას მშობელთა პედაგოგიზაციისათვის. ამ მხრივ მიზანმიმართულ საქმიანობას ეწევიან მშობელთა უნივერსიტეტები. ოჯახის როლისა და მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ნაყოფიერად მუშაობს მშობელთა რაიონული საბჭო, რომელიც არცთუ ისე დიდი ხანია რაც არსებობს, მაგრამ უკვე მოასწრო არაერთი საინტერესო საქმის გაკეთება. რაიონის სახალხო განათლების ორგანოებმა და პიროველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა არსებითს გარდატეხას მიაღწიეს სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა მაშების უფრო აქტიური ჩაბმისათვის. ყველა სკოლაში შეიქმნა ნამათა საბჭოები, რამაც უთუოდ უნდა შეუწყოს ხელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებას.

ფორმალურად მნიშვნელოვნად განმტკიცდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მატერიალური ბაზა. რაიონის სოფლების აბსოლუტურ უმრავლესობაში ბავშვები ახალ, თანამედროვე, ნათელ შენობებში მეცადინეობენ. კეთილმოწყობილი კაპიტალური სკოლები აიგო ცხაკაიაში, სოფლებში — ზანაში, ხორშში, ახალსოფელში, უშფაფაში, ფოცხოში, ნოსირში, მეორე ნოსირში, ჭალადიდში, მენჯსა და სხვაგან. ბევრი მთგანი საკოლმეურნეო სახსრებით აშენდა, უდავოდ დიდია ამ საქმეში რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წვლილი. ამჟამად მიმდინარეობს ქალაქის სკოლა-ინტერნატის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლის დამთავრების შემდეგ, მენჯის სამკურნალო წყლის ბაზაზე იგი გადაკეთდება სპეციალიზებულ სკოლა-სანატორიუმად.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საძირკველია სკოლამდელთა დაწესებულებანი. რაიონში ბევრი რამ გაკეთდა მათი მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. უკანასკნელ ხუთ წელიწადში საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების კეთილმოწყობილი შენობები აიგო ზანაში, ჭალადიდში, კოტიანეთში, ფოცხოსა და სხვა სოფლებში. პირველი სექტემბრისათვის ახალმოსახლეობას იზეიმებს ქალაქის პირველი საბავშვო ბაღი. ყოველ სკოლას თუ სკოლამდელთა დაწესებულებას თავისი შეფი ჰყავს, რომელიც არაფერს იშურებს, რომ ნორჩებს სასურველ გარემოში უხდებოდეთ ყოფნა. შარშან საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭომ (თავმჯდომარე ჟ. კაშბაძე) თეკლათელ ბავშვებს უსასყიდლოდ, შეფობის წესით კაპიტალური შენობა აუგო. ასეთი შემთხვევა ერთეული როდია. მარტო მიმდინარე წელს შეფვა ორგანიზაციებმა სკოლებსა და სკოლამდელთა დაწესებულებებს 418 ათასი მანეთის სარემონტო სამუშაოები შეუსრულეს.

რაიონში ბავშვებზე ზრუნვა საყოველთაო-სახალხო საქმე გახდა. მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდია. მეტად შეუფერებელ შენობებში უხდებათ მუშაობა ქალაქის პირველ, მეოთხე, მეექვსე, ლენინის და ძველი სენაკის საშუალო სკოლებს. დასანანია, რომ ძველი სენაკის ცნობილი სკოლა, რომელსაც ნომავალ წელს არსებობის ასი წელი უსრულდება (ამ სკოლამ ქვეყანას აღუზარდა ისეთი სასიქადულო შვილები, როგორიც არიან კონსტანტინე გამსახურდია, სიმონ ჯანაშია, ვარლამ თოფურია, პეტრე ქავთარაძე, არნოლდ ჩიქობავა და მრავალი სხა), ძველთაძველ, თითქმის დანგრევის პირამდე მიცული სკოლად იქცა ჩოსწავლეთა შრომითი რაზმების ურთიერთგაცვლა ჩვენთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ესტონეთის სსრ რაკვერის რაიონთან, აგრეთვე დასასვენებოდ ცხაკაიელ და რაკვერელ პიონერთა დიდი ჯგუფების ურთიერთგაცვლა.

რაიონში მოსწავლეთა აკადემიური წარმატება უკანასკნელ პერიოდში საგრძნობლად ამაღლდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. მეტად დაბალია ფრაადოსან მოსწავლეთა რიცხვი. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VIII-X კლასებში გასული სასწავლო წლის შედეგების მიხედვით ფრაადოსანი იყო მხოლოდ 42 მოსწავლე, ანუ სულ ფრაადოსანთა 4,9 პროცენტი. მოსწავლეთა ძირითადი რაოდენობა (65 პროცენტი) სამოსანია, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია მოსწავლეთა არაობიექტური შეფასების ფაქტებიც.

ზშირად სკოლის მუშაობის წარმატებებს იმით განსაზღვრავენ, თუ რამდენი კურსდამთავრებული ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში. ხოლო ნაკლები ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენი ჩაება ქვეყნისათვის, ხალხისათვის, საჭირო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, პროფესიულ-ტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში. სამწუხაროდ, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო, მეტად გვიძნელდება რაიონის პროფტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტება. გარდა იმისა, რომ მოსწავლეთა შრომითს აღზრდას ჩვენი პედაგოგ-მასწავლებლის ჯერ კიდევ მთელი სერიოზულობით არ ეკიდებიან, სკოლებში პროფესიული ორიენტაციის თვით ამჟამად არსებული სისტემა, ვფიქრობთ, არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, ეს პრობლემა სერიოზულ განხილვას იმსახურებს. ამისათვის კი პირველ რიგში უნდა გადაიჭრას კადრების საკითხი შრომითი სწავლებისათვის. ამჟამად რაიონის სკოლებში 150-ზე მეტი პენსიონერი მასწავლებელი მუშაობს, 140 მასწავლებელი 50 წელზე მეტი ხნისაა. ეს კი მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 31 პროცენტს სჭარბობს. ამასთან, უკანასკნელი სამი წლის მანძილზე რაიონის სკოლებში 7 ახალი მასწავლებელი დაინშნა. ახალგაზრდა მასწავლებლებისთვის წლების განმავლობაში არ მიუციათ შესაბამისი დატვირთვა, რაც მათ გულს უცრუებს მუშაობაზე, უკარგავს სპეციალობის უკეთ დაუფლების სურვილს. დადგა დრო, მოიძებნოს ძველი და ახალი კადრების შეხამების უფრო ოპტიმალური კრიტერიუმი, რაც ახალგაზრდა სპეციალისტებს საშუალებას მისცემს სწავლა-აღზრდის ამოცანები სწორედ თავიანთი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში გადაწყვიტონ.

კონკრეტულად დღეს ჩვენი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს აკლიათ ცალკეული საგნების სპეციალისტები. არ გვყოფნის რუსული ენის სპეციალისტები, განსაკუთრებით სოფლად. შრომითს სწავლებასა და ხაზვას ძირითადად არასპეციალისტები ასწავლიან. ამასთან არის ასეთი პრობლემაც: შრომითი სწავლებასა და ხაზვის საათები სკოლებში იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელი ხდება მასწავლებელთა დატვირთვა-დამკვიდრება.

დღეს, მეცნიერებისა და ტექნიკის, ინფორმაციის წყაროს არნახული განვითარების პირობებში საშუალო მომზადების პედაგოგმა საუკეთესო დაანტერესოს ახალგაზრდა, სწავლისა და შრომის სიყვარული გაუღვიძოს მას. ამიტომ უფრო პრინციპულნი უნდა ვიყოთ მასწავლებელთა ატესტაციის დროს.

სერიოზულად დგას მამაკაც პედაგოგთა პრობლემაც. დღეს რაიონში მომუშავე პედაგოგთა 70 პროცენტზე მეტი ქალია. ვფიქრობ, ეს საკითხიც სერიოზულ დაფიქრებას საჭიროებს.

კვლავ მწვავედ დგას სკოლების მატერიალური ბაზის საკითხი. საშეფო წესით გვიჭირს ყოველწლიურად სკოლებში სარემონტო სამუშაოების შესრულება. ხომ არ შეიძლება დაკანონდეს, რომ ეს სამუშაოები საკალდებულო წესით შეასრულონ იმ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომელთა სამოქმედო ტერიტორიაზეც არის სკოლა და სკოლამდელთა დაწესებულება.

დღეს რაიონის პარტიული ორგანიზაციისა და საბჭოების საქმიანობის ყურადღების ცენტრში დგას არასრულწლოვანთა დანაშაულის პროფილაქტიკის საკითხი. ბევრი რამ კეთდება ამ მხრივ, თითოეულ ძნელადაღსაზრდელზე მიმაგრებულია დამრიგებელი, ვაცდილობთ ჩავაბათ ისინი სპორტული, ზხატვრული თვითმოქმედების წრეებში, ტარდება ინდივიდუალური მუშაობა დანაშაულისადმი მიდრეკილების მქონე მოზარდთა მშობლებთან და სხვა. ამ ღონისძიებებმა გარკვეული დადებითი შედეგები მოგვცა, მაგრამ დანაშაულობათა ფაქტების მთლიანად აღკვეთას მაინც ვერ მივაღწიეთ. წელს არასრულწლოვანთა მიერ რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი. ქალაქის მეშვიდე და მეხუთე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა ზ. გვაძაბიამ და თ. ჯოჯუამ მონაწილეობა მიიღეს პირველი საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტის გაქურდვაში, არასრულწლოვანმა ბ. გელანტიამ გაქურდა მოქალაქის ბინა... ერთი სიტყვით, ასეთი მოვლენების აღსაკვეთად სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია, განსაკუთრებით მართებთ მუშაობის გაუმჯობესება კომკავშირულ ორგანიზაციებს.

საკითხთა წრე, რომელიც ცხოვრებამ დააყენა სკოლის წინაშე, თანამედროვე ეტაპზე მეტად ფართოა და იგი სწორ, დასაბუთებულ გადაწყვეტას მოითხოვს. მის გადაწყვეტაში კი ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ეს თვისაც ძვირფასია მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე.

რაიონის მასწავლებელთა კონფერენციაზე საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი გვაქვნება იმაზე, თუ როგორ ხორციელდება სახალხო განათლების სისტემაში სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი, საქართველოს მასწავლებელთა მეხუთე ყრილობის რეკომენდაციები, რა კეთდება მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, შრომითი აღზრდისათვის, დამოუკიდებელი საქმიანობისათვის მის მოსამზადებლად. აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოსამუშავებლად, კონკრეტულად რა წვლილი შეაქვს რაიონის სკოლას პარტიის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იქნება მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებები, მათი დაძლევის გზების ძიება.

ვ. ესვანჯია,
საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი.



ჟუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საავტომობილო ქარხნის კოლექტივი მალე შეუდგება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომატარებლების სერიულ გამოშვებას. ასაწყობ-ჩასაბარებელ კორპუსში დაიწყო მთავარი კონვეიერის დამონტაჟება. მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ამ კონვეიერიდან ჩამოვა ათობით ახალი ავტომატარებელი, რომელთა გამოშვება გათვალისწინებულია სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით.

მიმდინარეობს მოწყობილობის დამონტაჟება ახალ საავტომობილო კორპუსში. ამავე დროს აქ უშვებენ დიზელის ძრავებს, ალუმინის დეტალებსა და სხვა პროდუქციას.

სურათებზე: დიზელის ძრავთა აწყობის უბნის მოწინავე ამწყობ-ზეინკლები თემურ გოგიბერაშვილი (მარცხნივ) და ომარ ჩიხლაძე; სოციალისტური შეჯიბრების მეწინავე, მოწინავე გამმართველი თენგიზ ვესარელი.

ო. ბერეჭიკიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ნერგი კეთილი

მუხრანი მცხეთის რაიონის ერთ-ერთი თვალსაჩინო სოფელია თავისი წარსულით, ულამაზესი მდებარეობით, და რაც მთავარია — გამრჯე და პატიოსანი ადამიანებით. სწორედ ამ სოფელშია სასწავლო-საცდელი მეურნეობა, რომელიც ამ 30 წლის წინათ გადაეცა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, და რომელსაც 763 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

ამ გაშლილ ველ-მინდვრებსა და ბაღ-ვენახებს ახალგაზრდების, სტუდენტების ხალისიანი ყრიამული ავსებს და აცოცხლებს. წელიწადის ყოველ დროს, ისინი გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლების უშუალო ხელმძღვანელობით გადიან სასწავლო, სამეცნიერო და საწარმოო პრაქტიკას. სწავლობენ და ნერგავენ ახალს, პროგრესულს, რათა ხვალ-ზეგ უფრო თამამად გავიდნენ ველ-მინდვრებსა თუ ბაღ-ვენახებში და უფრო ნაყოფიერად განაგრძონ აქ დაწყებული საქმიანობა.

წლეულს მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში კვლევითს მუშაობას ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მიწათმოქმედების, მევენახეობის, მეხილეობის, სასოფლო-სამეურნეო მელიორაციის, მომცენარეობის, აგროქიმიის, მცენარეთა ქიმიური დაცვისა და სელექციო-გენეტიკის კათედრები ეწევიან. დღეს აქ საწარმოო პრაქტიკას გადის აგრონომიული ფაკულტეტისა და ჰიდრომელიორაციის მესამე კურსის 122 სტუდენტი, 27 კი სადიპლომო ნაშრომს ამუშავებს. მათთან ერთად მეურნეობაში გასვლოის პრაქტიკაზეა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრაღის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის 14 სტუდენტი.

მეურნეობაში წამყვან კულტურად, რა თქმა უნდა, ვენახი ითვლება, რომელსაც 135 ჰექტარი ფართობი უჭირავს, საიდანაც 124 ჰექტარი მსხმოიარეა. ლარიფთი გაჯიმული შპალერებზე თავს იწონებს ვაზი. ყოველი წამლობა, რიგთშორისების ქულტივაციონა, ხვნა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა დროულად მიმდინარეობდა, ვაზის ყოველი ძირი საგულდაგულოდაა მოვლილი, რომ იტყვიან, ავ თვალს არ ენახვება, — სწორედ.

შარშან სეტყვამ, წვიმამ და ქარმა მიწას გაართხა ნალოლიავები ვაზი. გეგმის შესრულებას ვიღა ჩიოდა, ყველას ერთი საფიქრალი ჰქონდა, როგორმე გადაარჩინათ ოთხჯერ დასეტყვილი ზერები. ამიტომაც შრომობდნენ. ასე მუხლჩაუხრელად აქაური მევენახეები. ინსტიტუტის მევენახეობის კათედრის დახმარების, მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობის, გამრჯე მევენახეთა და სტუდენტთა თავდადებული შრომის მეოხებით მართლაც გადარჩა ვაზი. მერე იყო და, სამეჩხრის საშიშროებაც გაჩნდა, მაგრამ

მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში

ეს საქმე მეურნეობის მთავარმა აგრონომმა, მ. მგელაძემ თავა და, მცირე დროში ამასაც უშველა.

წლეულს, თუ ბუნებამ ხელი შეგვიწყო და შრომა დაგვიფასდა, გეგმა-ვალდებულებით გათვალისწინებული 700 ტონის ნაცვლად 800 ტონა ყურძენს მივყიდით სახელმწიფოს — გვითხრა მეურნეობის თავაკაცმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. მინდაძემ.

მეურნეობაში თავიდანვე შეიჩჩა საშამპანური ჯიშები — ჩინური, პინო, ალიგოტე... ამ გამძლე და ამტანმა ალიგოტემ შამპანურიც შესანიშნავი იცის. პროფესორ მაქსიმე რამიშვილის უშუალო მითითებით გავრცელდა ეს ჯიში ჩვენში, — საფრანგეთის შემდეგ სწორედ აქ ჰპოვა მეორე საშობლო და სამუდამოდ დამკვიდრდა კიდეც ქართულ მიწაზე.

ვენახთა ახლოს თავს იწონებს ქართული სინაპი, კეხურა, „შამპანური რენეტი“, „ვილიამსი“ და ათასფრად აფერადებული ატამი. აქ 148 ჰექტარზეა გაშენებული ვაშლის, მსხლისა და ატმის ბაღები. ჯიშთა შერჩევით შენდება ახალშენი, რომელსაც 53 ჰექტარი უკავია. აქედან 92 ჰექტარი უკვე მსხმოიარეა. ხეხილის ბაღების რეკონსტრუქციასა და ჯიშთა შერჩევას ინსტიტუტის მეხილეობის კათედრა და დოცენტი მიხეილ ვარძელაშვილი ხელმძღვანელობენ. სწორედ მათი უშუალო ჩარევით უარყვეს ბაღების შერეული მეთოდით გაშენება. ფართო მეცნიერულმა შრომამ და დაკვირვებამ ნაყოფიც სასურველი გამოიღო. მეურნეობის თავგზიანი მუშაობაც ხომ სწორედ ამ მეთოდზეა აგებული.

ტრიტიკალე — ასე ეწოდა ახალ ჯიშს, რომელიც ხორბლისა და ჭვავის შეჯვარებით მიიღეს. ამ კულტურის გამოყვანაზე დიდხანს მუშაობდა ინსტიტუტის სელექცია-გენეტიკის კათედრა პროფესორ პეტრე ნასყიდაშვილის ხელმძღვანელობით. ეს ახალი ჯიში პირველად სწორედ აქ, მუხრანის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე დათესეს და შემდგომში მეცხოველეობის წამყვანი საკვები კულტურა გახდა, რომელსაც უკვე ფართოდ იყენებენ სენაჟის დასამზადებლად. მექანიზატორები წლეულს თითოეულ ჰექტარზე 400-500 ცენტნერ სასენაჟე მასის მიღებას ვარაუდობენ საშუალოდ. მესაქონლეობაში საკვებად მიღებული მასა მეტად ხარისხოვანი და ნაყოფიერია. დღესდღეობით მეურნეობამ 200 ტონის ნაცვლად 270 ტონა სენაჟი და 300 ტონაზე მეტი თივა დაამზადა. სილოსის დამზადებაც დაიწყო და მეურნეობის კოლექტივი, გეგმით გათვალისწინებული 300 ტონის ნაცვლად, 370 ტონაზე მეტს ვარაუდობს. ასე რომ, მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მეცხოველეები ზამთარს მომზადებულნი შეხვდებიან.

შორს წაგვიყვანდა თითოეული კათედრის იმ სამეცნიერო ნამუშევართა ჩამოთვლა, მეურნეობის მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში რომ ინერგება და რომელთაც სწორედ აქაურ ბაღ-ვენახებში უწერიათ განხორციელება. ეს კარგად იციან მეურნეობის მუშებმა. ისინი 13 ბრიგადაში არიან გაერთიანებული და მეცნიერებთან ერთად ერთგულადაც ემსახურებიან ამ საშვილიშვილო საქმეს.

ძნელია, გამოვარჩიოთ რომელიმე მათგანი საკუთარი ნაშრომ-ნაღვაწით, მაგრამ ზოგი მათგანის არმოხსენიება, მართლაც რომ არ ეკარგებდა. მთელ რაიონშია განთქმული შრომისა და ომის ვეტერანის გ. თაფარის სახელი. მის გვერდით ე. კაჭიაური შრომობს. ერთს ვენახში უცდია ბედი, მეორეს — ხეხილის ბაღებში, ველ-მინდვრებში კი გ. ძიძიშვილის ბრიგადა ამზადებს თივასა და სენაჟს. არც გ. პაპუკაშვილის კომბაინია უქმად, — დილიდან გვიან საღამომდე გუგუნებს შეუსვენებლად. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსულან მეურნეობაში გ. ზაზაძე, ვ. არბოლიშვილი და თ. ხუბუა, რომლებიც გამოცდილ მეურნესავით უდგანან მხარში ვეტერანებს. აგერ, ახლახან მოწმინავე გოგონა ვარა არბოლიშვილი პარტიის რიგებში მიუღიათ და პარტიული კომიტეტის მდივანი შ. ნოიოშვილიც სიყვარულით გვიყვება მის შესახებ. სწორედ მათ გვერდით იწვრთნებიან მომავალი მეცნიერები, აგრონომები, ინჟინერ-მექანიზატორები თუ მეღვინეები, რომლებიც დღესდღეობით მხოლოდ სტუდენტები არიან და ჯერ კიდევ მეოცნებე თვალებით შეჰყურებენ მომავალს.

მეურნეობაში სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის სპეციალური საცხოვრებელი სახლი და კოტეჯები აუგიათ, აქვეა სასადილოც, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა ვუსაყვედუროთ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს: შარშან სტუდენტთა ახალი სასადილო უნდა ჩაებარებინა № 1 ტრესტის მე-14 მოძრავ მექანიზებულ კოლონას, მაგრამ მშენებლობა დღემდე ჭიანურდება. ჩვენ განგებ არაფერს ვამბობთ შხამ-ქიმიკატების საწყობის მშენებლობაზე, მაგრამ სტუდენტთა სასადილო ხომ აუცილებელია! როდემდე გაგრძელდება ასე?

გასულ წელს მეურნეობამ ბაგა-ბაღი და ოთხწლიანი სკოლის ახალი შენობა გადასცა საჩუქრად სოფელს, საშემოსავლო დანაზოგებით და ძველი ღვინის ქარხნის ნაფუძარზე ახალი ქარხანაც დაამონტაჟა...

ფრენბურთის, კალათბურთისა თუ ფეხბურთის მოედნებიდან ახალგაზრდობის ყიჟინა ისმის. ეს სტუდენტები და მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ვარჯიშობენ. აქ ასეა — ერთად შრომობენ და თავისუფალ დროსაც ერთად და შინაარსიანად ატარებენ, ერთობიან, ხალისდებიან.

გავა წლები და მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში გატარებული ეს დღეები იმ ჩიტრადღანს ემსგავსება, მადლიანი შუქით რომ გაგინათებს დიდი ცხოვრების კარიბჭეს.

ც. სიხარულიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

რა შედეგი მოაქვს გაცდენას

მიმდინარე წლის ექვს თვეში რესპუბლიკის ინდუსტრიამ გაცდენების გამო სახელმწიფოს დააკლო 33,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. გამოდის, რომ ამ მიზეზით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები უმოქმედოდ იყვნენ მთელი სამუშაო დღის მანძილზე...

— გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შრომის დისციპლინის მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, — განმარტა ეს ფაქტი რესპუბლიკის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილემ გ. ციმეურიშვილმა, — მაგრამ ჯარგს მაინც ვერ უწოდებ. გაცდენების, დისციპლინის სხვა დარღვევების გამო ფუჭად იკარგება მრავალი სამუშაო საათი. მათ მიღმა კი დგას გამოუშვებელი მანქანები, მასობრივი მოთხოვნილების საქონელი...

შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა ყოველნაირად ვიბრძოლოთ გაცდენების, დაგვიანებების, წარმოებაში წესრიგის სხვა დარღვევათა ლიკვიდაციისათვის, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს გვაყენებენ. მაგრამ რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში, შრომითს კოლექტივში ამას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა.

ავიღოთ, მაგალითად, კვების მრეწველობის სამინისტრო. მიმდინარე წლის შვიდ თვეში დარგმა ქვეყანას დააკლო ასი ათასი მანეთის პროდუქცია. და ეს ბევრად არის განპირობებული დაბალი შრომის დისციპლინით. როგორ ებრძვიან მის დამრღვევებს? თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დაითხოვეს მხოლოდ ყოველი მესამე ბოროტი გამცდენი, იმათ მიმართ დამოკიდებულება, ვინც წესრიგს ვერ ეგუება, ხშირად ლიბერალურია.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროში სამუშაო გააცდინა ასობით მუშამ, ამასთან, არაერთგზის. მაგრამ მათდამი მიდგომა კიდევ უფრო ლმობიერია — დათხოვნილია მხოლოდ ყოველი მეოთხე გამცდენი.

კანონი შრომითი კოლექტივების შესახებ ბევრ ახალ შესაძლებლობას ანიჭებს კოლექტივებს წესრიგის დამრღვევებზე ზემოქმედებისათვის. მაგრამ იმავე მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში მუშაკს გაცდენისათვის, წარმოებაში შინაგანაწესის დარღვევისათვის მორიგ შვებულებას ყოველთვის როდი გადაუტანენ ხოლმე ზაფხულიდან შემოდგომაზე ან ზამთარში, როდი დასწევენ უკან ბინის მიღების რიგში და ა. შ.

ჩვენში არის საწარმოები, სადაც ბრძოლა გამცდენების წინააღმდეგ მოფიქრებულად და მწვავედ წარმოებს. მაგალითისათვის გამოგვადგება ქუთაისის საავტომობილო, ფოთის გემშენაკეთებელ-გემთსამენი, თბილისის საავიაციო ქარხნები. ამ შრომითს კოლექტივებში შექმნილია დარღვევებისა და დამრღვევებისადმი შეურიგებლობის ვითარება. ამის შედეგად, გაცდენების რიცხვი მარტო საავიაციო ქარხანაში ამ ბოლო დროს სამჯერ შემცირდა.

მნიშვნელოვანწილად გაცდენების მიზეზია შრომის პროცესის ცუდი ორგანიზაცია. ამავე დროს, აღინიშნა პარტიის ვეტერანებთან შეხვედრაზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა „სოციალისტური დისციპლინის არსი კი თავის სამუშაო ადგილას თითოეულის სრული უკუგებაა. ეს მუშაობა აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს შრომის თანამედროვე ორგანიზაციას, ადამიანების გონივრულ განაწილებას, ზუსტ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, მორალური და მატერიალური სტიმულირების მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების სრულყოფას“.

სწორად ამ ფაქტორების უგულებელყოფამ განაპირობა მთელ რიგ კოლექტივებში წარმოების ტემპის შენელება. აი რამდენიმე ციფრი: წლის პირველ ნახევარში ცხაკაიას ხალიჩების კომბინატში პროდუქციის რეალიზაცია შვიდი მილიონი მანეთით და მეტად შემცირდა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში — 2,3 მილიონი მანეთით. შესაბამისად, ამ საწარმოებში გაცდენებმა 1.509 და 274 კაცდღე შეადგინა.

თბილისის ტრიკოტაჟის საცელის საწარმოო გაერთიანებაში შრომის დისციპლინის დარღვევების შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ზარალის ასანაზღაურებლად მიმართეს ზეგანაკვეთურ სამუშაოს. წლის პირველ ნახევარში ასეთმა სამუშაოებმა 117 ათას კაცსაათს გადააჭარბა.

დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცება, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, — ეს დღევანდელი დღის უმნიშვნელოვანესი ამოცანაც არის და მომავლის საპროგრამო ამოცანაც.

ადგილებზე უნდა შეიქმნას სპეციალური შტაბები

იმ საწარმოთა შორის, რომლებიც ხშირად არღვევენ პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს, არიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და საწარმოო გაერთიანება „აზოტი“.

აგროსამრეწველო კომპლექსის შეკვეთით პროდუქცია „ვალად დაედოთ“ თბილისის ქარხანა „საქსოფლმანქანას“ და გარდაბნის „ფუყო-რუბეროიდის“ ქარხანას. გეგმის ჩაფუშვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ საექსპორტო მიწოდებანი საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებელში“, სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტ „მიონსა“ და მის ქარხანაში. ხოლო ავჭალის მინის ქარხანაში გრძელდება სასაქონლო პროდუქციის წარმოების გეგმების კორექტირება სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესაბამისი კორეტირების გარეშე, რაც საბოლოო ანგარიშით იწვევს საერთო-მო სანქციების ზრდას.

ეს ფაქტები მოგეგონებს. საკავშირო დაქვემდებარეობის სამინისტროების, უწყებების, საკავშირო დაქვემდებარეობის სამინისტროებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს თათბირ-სემინარზე. მისმა მონაწილეებმა განიხილეს საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს იმისათვის, რომ ამაღლდეს პირველადს პარტორგანიზაციათა აქტიურობა, რათა საწარმოები იცავდნენ მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებებს, გაძლიერდეს ამ დარგში სამეს ვითარებისადმი პარტიული კონტროლი.

მომხსენებელმა — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარემ შ. ყარაყარაშვილმა, თათბირ-სემინარზე გამოსულმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილემ მ. დანელიამ და სხვებმა ილაპარაკეს შექმნილი მდგომარეობის დაძლევის კონკრეტული გზებისა და შესაძლებლობების შესახებ. კერძოდ, ხაზგასმით აღინიშნა, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უფრო გამბედაობა უნდა ისარგებლონ ამ მიმართულებით ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებით, დამნაშავეთა მიმართ განახორციელონ პარტიული ზემოქმედების ღონისძიებანი.

საჭიროა, რომ სახელშეკრულებო დისციპლინის დარღ

ყველიერი
ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ცდუნებამდე მანძილი მოკლეა

ხალხი დღეს განსაკუთრებული ყურადღებით და გულისხმიერებით ეკიდება იმ ულიდეს მოვალეობას, ჰაბუკებისა და ქალიშვილების ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდა რომ ეწოდება. მათზე ზრუნვას კანონიც გვავალებს. და თუ ერთეულები სწორ გზას მაინც ასცდებიან ხოლმე, ეს ყველას გვაღელვებს და გვაფიქრებს.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ძირითადად თბილისს ორჯონიკიძის რაიონშია თავმოყრილი და ახალგაზრდების სტუდენტური წლები ჩვენს თვალწინ გადის. სხვებთან ერთად პროკურატურის თანამშრომლებსაც გვევალება ვიზრუნოთ, რომ მათ სწავლისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობები ჰქონდეთ შექმნილი. დავიცვათ მათი სიმშვიდე, დროულად შევამჩნიოთ და ამოვძირკვოთ სტუდენტთა ცხოვრებიდან ბოროტების საწყისი...

და თუ დანაშაული მაინც მოხდება, ვილაპარაკოთ კანონის მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ენით!

დღეს მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტან სტუდენტთა მიერ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჩადენილ რამდენიმე დანაშაულს, რომელთა გაანალიზება საშუალებას მოგვცემს რამდენადმე მაინც გავცეთ პასუხი კითხვას — როდის და როგორ ჩამოყალიბდნენ დამნაშავეებად.

მწამს, ისინი შეიგნებენ თავიანთ დანაშაულს და სასჯელის მოხდის შემდეგ, პატიოსანი შრომით ჩამოირეცხავენ ლაქას...

როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტს ა. ვ. ს. დანაშაულზე წაასწრეს, თვით მოავლის მნახველი გამომძიებელიც კი მზად იყო ხელწერილი მიეცა — ახალგაზრდამ დანაშაული პირველად და რაც მთავარია, გულუბრყვილობის შედეგად ჩაიდინა. ეს აზრი კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა სკოლისა და ინსტიტუტის მიერ გაცემული დახასიათებები წავიკითხეთ. ისინი გვამცნობდნენ, რომ ა. ვ. წარჩინებული მოსწავლე იყო რომ მან ფიზიკისა და ქიმიის ოლიმპიადებში მრავალგზის მოიპოვა გამარჯვება, აქტიური და სანიმუშო თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ინსტიტუტის ბიბლიოთეკასა და ლაბორატორიებში ატარებდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ა. ვ.-მ დაწერილებთან გვიამბო თავისი თავგადასავალი— თბილისში ცხოვრების 2 წლის ამბავი. გულისტკივილით შევიტყვეთ, რომ წარჩინებულ სტუდენტს უკვე მოუსწრია რამდენიმე ბინის გაქურდვა!

დიახ, ჩვენს წინ იყო ჩამოყალიბებული ბოროტმქმედი, რომელიც ასე მოხერხებულად ატარებდა წესიერი კაცის ნიღაბს, ოსტატურად შეჰყავდა შეცდომაში მეგობრები, თანაკურსელები, პროფესორ-მასწავლებლები. დახასიათებაში ჩაწერილი სიტყვები, ა. ვ. წარჩინებული, სწავლას დაწაფებული სტუდენტიაო, სრული ჰეშმარიტება გახლდათ, მაგრამ იქ არ ეწერა თავისი — რა ცხოვრებით ცხოვრობდა ეს ახალგაზრდა ინსტიტუტის კედლებს გარეთ. ამისი ცოდნა კი, როგორც აქ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ფრიად საჭირო ყოფილა.

რ. ა. მეხუთე კურსსმდე ისე მივიდა, ცუდ საქციელში შემჩნეული არ ყოფილა. და აი, ერთ დღეს ჩვენს მიერ ინსტიტუტში გაგზავნილმა ცნობამ ყველა შეაშფოთა. ეს ახალგაზრდა ცნობილ რეციდივისტებთან ერთად ბინის გაქურდვის დროს დაჭაკვეთ... 22 წლის ვაქაცს სულ რაღაც ერთ წელიწადში ინკინრის დიპლომი უნდა მიეღო, სამსახურთან კი 7 წლის თავისუფლების აღკვეთა მოუსაჯა... დადებითად ახასიათებენ, სადაც კი უსწავლია. მაშ, დროის რომელ მონაკვეთში სძლია ბოროტმა კეთილს?

დ. ნ. ფიზკულტურის ინსტიტუტში რომ ჩარიცხეს, პირსპექტიული სპორტსმენი გახლდათ. კარგ სწავლასთან ერთად მან შეძლო საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მოეპოვებინა. გაიმარჯვა რესპუბლიკურ თუ საკავშირო შეჯიბრებებში. და აი, ახალგაზრდა, რომლისგანაც მშობლები, მეგობრები, მწვრთნელები ახალ-ახალ წარმატებებს მოელოდნენ ყაჩაღობის გამო განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. და ისევ დახასიათებები სკოლიდან. ინსტიტუტიდან, სპორტსაზოგადოებიდან, დ. ნ. ჩინებული კომკავშირელი, სპორტსმენი, მეგობარი იყო... დახასიათება, რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი, მეტად პატივსაცემი ადამიანები, ჩვენში არავითარ ეჭვს არ იწვევს, სტუდენტს როგორც იცნობდნენ, ისეთი დახასიათება მისცეს. საუბედუროდ, ბოროტებისაკენ მიმავალი ბილიკი ვერავინ დაინახა, ვერავინ შეამჩნია...

ა. გ. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მუშაობდა, შემდეგ საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვიეს. შინ დაბრუნებული დაცოლშვილდა. ერთხანს ისევ კოლმეურნეობაში იმუშავა... თავისუფალ დროს წინგნებს ჩიჩკორკიტებდა. შარშან აღისრულა ოცნება, გახდა სტუდენტი. გავიდა სულ რაღაც ექვსი თვე და უბრალო წოლაპარაკების ნიადაგზე გულის არეში დაჭრა თანაჯგუფელი. ექიმების დიდი მეცადინეობა რომ არა, ა. გ.-ს სამუდამოდ დაერქმეოდა მკვლელის სახელი... არადა, ამ ახალგაზრდაკაცის მიერ განვლილი ცხოვრების გზა — სკოლა, საბჭოთა არმიის რიგებში სამსახური, კოლმეურნეობაში შრომა, ოჯახური პირობები, მოხუცი მშობლები, ცოლ-შვილი, საზოგადოებრივი მდგომარეობა — პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ვფიქრობ, ვერ ჰგუობს ბოროტი ხელიგნის სახელს. მაგრამ სიმართლეს სად გაექცევი?!

და მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!

სტუდენტი — ბინის ქურდი, ყაჩაღი, მძარცველი, მანქანის გამტაცებელი, ხულიგანი, მორფინისტი... ეს სიტყვები თავზარს გვცემს! მართალია, ასეთები ერთეულები არიან, მაგრამ კითხვა — რატომ ჩაიდინა მომავალმა იბერინერმა, პედაგოგმა თუ ექიმმა დანაშაული, როგორ აღმოჩნდა იგი განსასჯელის სკამზე, როდის მოგვპარა ახალგაზრდა ქუჩამ, პასუხს მოითხოვს.

როგორ ხდება, რომ სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, მისაღები გამოცდებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, როცა ხალისით და მომავალზე ოცნებით აღსავსენი სტუდენტურ ცხოვრებას დაეწაფებიან, რაღაცა ძალა მაინც ახერხებს აცდუნოს ცხოვრება დაუმახინჯოს, გონება დაუბნელოს, აქციოს ქურდად, ხულიგნად, მორფინისტად.

რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა გვპარავენ სუსტი ნებისყოფის ახალგაზრდებს, იმათ, რომელთა მიმართ შესუსტებულია მშობლების ყურადღება. განსასჯელის სკამზე მოხვედრილი ახალგაზრდის არც ერთ მშობელს, როგორც ძიების დროს დავადგენეთ, არასდროს არ მიუკითხავს შვილისთვის ინსტიტუტში. არ დაინტერესებულა, ვისთან ამხანაგობს მისი შვილი, როგორ ატარებს თავისუფალ დროს.

კიდევ ერთი, მეტად საინტერესო სტატისტიკური მონაცემი: რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები, რომლებიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ, თითქმის არასოდეს არ სჩადიან საზოგადოებისთვის საშიშ ქმედობას. ინსტიტუტის შემდეგ ისევ ტოლ-მეგობრებთან, თანამოზრეებთან ყოფნა დადებითად მოქმედებს სტუდენტის მორალურ და სულიერ ჩამოყალიბებაზე. აი, ისინი კი, ვინც ქირით, კერძო ნიებში ცხოვრობს, ბოროტმქმედთა სამყაროს წარმომადგენლებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი, ხელში ადვილად ჩასაგდები ხდებიან. ქირით მცხოვრები სტუდენტები თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ახლად გაცნობილ უბნის ბიჭებთან ატარებენ. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა კაცისთვის ძნელია ავსა და კარგში უცბად გარკვევა. ძლიერი მფარველი, ქალაქური ცხოვრების ყველა „სიამესთან“ ყოველდღიური შეხვედრა საკმარისი ხდება პირველი დანაშაულის ჩასადენად. ნახეთ, არც მე ვარ ჯაბანი, და ინკინრად, ექიმად, პედაგოგად გაბნადებული კაცი სჩადის ხულიგნობას, წამხედურობით იწყებს ნარკოტიკების მიღებას, მიდის „საქმეზე“ და ინათლება ქურდათ.

უკანასკნელ ხანს წესად ვაქციეთ, პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის, რაისაბჭოს და მილიციის წარმომადგენლებთან ერთად ვხვდებით პირველკურსელებს, ვესაუბრებით, ვაცნობთ თუ რას ავალებს მათ სტუდენტის სახელი. სიამოვნებით ამოგვიგიეს მხარი უმაღლესი სასწავლებლების რექტორატები, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები. ვცდილობთ არც ერთი ახალგაზრდა არ დაგვრჩეს ყურადღების გარეშე, განსაკუთრებულ კონტროლს ვუწევთ სტუდენტებს, რომლებიც ქირით თუ ნათესავებთან ცხოვრობენ.

შედეგმაც არ დააყოვნა. საგრძნობლად შემცირდა სამართალდარღვევები პირველ-მეორეკურსელთა შორის. მაგრამ ეს საკმარისი როდია — სტუდენტი განსასჯელის სკამზე არ უნდა აღმოჩნდეს!

ცოტაც და დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლები ახალი ნაკადით შეივსება.

დავულოცოთ მათ მომავალი და აღვასრულოთ ჩვენი უპირველესი ვალი — გამოუკლებლივ ყველა გავიყვანოთ ცხოვრების დიდ გზაზე...

გ. ნადარეიშვილი,
ორჯონიკიძის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

25 აგვისტო
ყველიერი
ფაქტები მოვლენები საკლესიო იუწყება

ანგოლა: აგრესიის ესკალაცია

ლუანდა. ანგოლის რევოლუციის წინააღმდეგ იმპერიალისტური შეთქმულება დაგმო ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ ჟ. ე. დოს სანტოშმა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რასისტულმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკამ, რომელიც იმპერიალიზმის ჟანდარმის როლს ასრულებს სამხრეთ აფრიკაში, მკვეთრად გააძლიერეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში მდგომარეობის დესტაბილიზაციის ცდები, განაცხადა მან მთავრობისა და მპლა-შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის აქ გამართულ გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლისას. ანგოლის წინააღმდეგ აგრესიის ესკალაცია იმპერიალიზმის საერთო სტრატეგიის ნაწილია, რომლის მიზანია ჩაახშოს რევოლუციური პროცესი აფრიკაში, დაამხოს კანონიერი მთავრობები იმ ქვეყნებში, რომლებიც ადგანან განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, დაამყაროს იქ მარიონეტული რეჟიმები.

პრეტორიის ხელისუფალნი ცდილობენ ძალით მიაღწიონ ანგოლაში თავიანთი დანაშაულებრივი ზრახვის განხორციელებას, აღნიშნა ჟ. ე. დოს სანტოშმა. უნიტას ბანდები ფაქტობრივად სამხრეთ აფრიკის არმიის რეგულარული ნაწილები გახდნენ. რასისტები უზრუნველყოფენ „დერეფნებს“ ანგოლის ტერიტორიის სიღრმეში ბანდიტების შეჭრისათვის. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის არტილერია და ავიაცია მხარს უჭერს კონტრრევოლუციონერთა ყველა გამოხდომას. ბანდიტები ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, წვავენ სოფლებსა და ნათესებს. „მათ განახორციელეს მთელი რიგი ტერორისტული აქტები, მათ შორის ბენგელის რკინიგზაზე. პრეტორიელმა სტრატეგებმა შეადგინეს მალე-ნეეს ჩრდილოეთ პროვინციაში უნიტას ტერორისტების შეყვანის გეგმა. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაწილები ბანდიტებს ქვეყნის სამხრეთ რაიონების ოკუპაციას. ამ დღეებში მათ ახალი საბრძოლო ოპერაციები მოაწყვეს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ და გაანადგურეს ქალაქი კახგამბა. ომის გამართლების მიზნით, რომელსაც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ანგოლის წინააღმდეგ აწარმოებს, მასობრივი იფორმაციის იმპერიალისტური საშუალებანი თხზავენ მითს ყბადაღებული „აფრიკის მიმართ. კუბის საფრთხის“ შესახებ. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინაამდეგ შეთქმულების ფარგლებში დასავლეთი ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ რესპუბლიკიდან გაიყვანონ კუბელი ინტერნაციონალისტები.

ამ პირობებში ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა, ჩვენი ამოცანაა დავრაზმოთ ხალხი რევოლუციურ მონაპოვართა დასაცავად. საჭიროა გავაძლიეროთ ბრძოლა უნიტას ბანდების წინააღმდეგ მათ სრულ მოსპობამდე, ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მეომრებმა ყოველმხრივ უნდა განამტკიცონ ბრძოლისუნარიანობა იმისათვის, რომ დაიცვან რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, შშობლიური მიწა-წყლიდან სამუდამოდ განდევნონ დამპყრობლები და მათი დამქაშები.

ფოტოფაქტი

● ჩილე

მასობრივი გამოსვლები

პინოჩეტის სისხლიანი დიქტატურის წინააღმდეგ ჩილელ მშრომელთა მასობრივი საპროტესტო გამოსვლები, რომლებიც ეროვნული პროტესტის მეოთხე დღის ფარგლებში მოეწყო, უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბით ჩილეს ახლანდელი რეჟიმის ათწლიანი მმართველობის მანძილზე. პოლიციის გარდა, დემონსტრაციების დასარბევად გამოიყვანეს თავით ფეხამდე შეიარაღებული 18 ათასი ჯარისკაცი. ცხარე შეტაკებების შედეგად მოკლულია 27, დაშავებულია 60 და დაპატიმრებულია 1200 კაცი.

გრძელდება ჩხრეკა და მასობრივი დაპატიმრებანი. დედაქალაქსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში შემოღებულია კომენდატის საათი.

სურათზე: სანტიაგოს ქუჩები შფოთიან დღეებში.

აპ-სპუტნიკი ფოტო.

● გფრ

მინისტრმა კვლავ დააღასტურა

ბონი. თავისუფალი დემოკრატიული პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომაზე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰ.—დ. გენშერმა კვლავ დაადასტურა დასავლეთ გერმანიის მთავრობის განზრახვა განუხრელად შეასრულოს ნატოს სარაკეტო გადაწყვეტილებანი. ამასთან მან მწვავედ გააკრიტიკა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის წინადადება გადადონ საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგება; თუ ნოემბრამდე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკებაზე ვერ მიაღწევენ შეთანხმებას. გენშერმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ მოთხოვნას „ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკებისათვის მიყენებული მძიმე დარტყმა უწოდა“. იგი ამტკიცებდა, „ის, ვისაც ნატოს „ორმაგი გადაწყვეტილების“ განხორციელების გრაფიკის შეცვლა სურს, შეუძლებელს ხდის მოლაპარაკებაზე კონკრეტული შედეგების მიღწევასო“. ამ განცხადებას თან ახლდა მორიგი ლაუბობა „საბჭოთა რაკეტული საფრთხის“ შესახებ.

● ვენესუელა

ჯაშუშობის ბრალდებით

კარაკასი. ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის კომპანიების სასარგებლოდ ინდუსტრიული ჯაშუშობის ბრალდებით აქ დააპატიმრეს ამერიკელი მოქალაქეები ჯ. კარსიგერი და ჯ. ჰილი, აგრთვე თოთხმეტი ვენესუელელი. როგორც ამის გამო გამართულ პრესკონფერენციაზე ითქვა, ყველა დაპატიმრებული, რომლებსაც პასუხსაგები პოსტები ეკავათ ეროვნულ ნავთობის კომპანიებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასცემდნენ ინფორმაციასა და საიდუმლო დოკუმენტაციას ვენესუელის ნავთობის მრეწველობაში საქმის ვითარებისა და ამ პროდუქტზე ფასების აწევა-დაწევის გეგმების შესახებ. დაპატიმრებულთა ჯაშუშური საქმიანობის შედეგად ქვეყანამ დიდი ეკონომიკური ზარალი განიცადა, ამერიკის ნავთობის კომპანიებმა კი მარტო უკანასკნელი წლის მანძილზე დამატებით 3 მილიარდ დოლარზე მეტი მოგება მიიღეს.

„საქართო ბაზარი“

11. 600 ათასი უმუშევარი

ბრიუსელი. თითქმის ორი პროცენტით გაიზარდა უმუშევართა რაცხვი ევლისში „საერთო ბაზრის“ ქვეყნებში. ევროპის გაერთიანებათა კომისიის აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, გასული თვის დამლევს „ზედმეტ ადამიანთა“ არმია 11.600 ათასს შეადგენდა, რაც „ათეულის“ შრომისუნარიანი მოსახლეობის 10,3 პროცენტს შეადგენს. მთლიანად ბოლო თორმეტ თვეში უმუშევრობა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნებში 11,5 პროცენტით გაიზარდა.

ლ. ლ. თევდორაძე

ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, 1952 წლიდან სკკპ წევრი ოთარ ლავრენტის ძე თევდორაძე.

ო. ლ. თევდორაძე დაიბადა 1923 წელს ქალაქ ქუთაისში. 1941 წლიდან მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში, იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში. ომის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. იმავე წლიდან მუშაობდა სოხუმის სამუსიკო სკოლის პედაგოგად და დრამატული თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ. 1957 წლიდან ო. ლ. თევდორაძე მუშაობდა პირველი სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო განყოფილების კონსულტანტად. 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო მუსიკალური ანსამბლების რესპუბლიკური გაერთიანების სამმხატვრო ხელმძღვანელი.

ო. ლ. თევდორაძე სტუდენტობის წლებშივე აქტიურ შემოქმედებითს მოღვაწეობას ეწეოდა. ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როცა საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო მისმა სიმფონიურმა პოემამ „რუსთაველი“. შემდგომ წლებში ო. თევდორაძე ნაყოფიერად მუშაობდა მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა ჟანრში. მან შექმნა ოპერები („ლეგენდა თბილისზე“, „ხინთლე და ჩრდილი“), სამი სიმფონია, სამი სიფორტეპიანო კონცერტი, კონცერტი საყვირისა და ორკესტრისათვის, მთელი რიგი საორკესტრო სიუიტები და პიესები, კამერულ-ინსტრუმენტული, ვოკალური და საგუნდო ნაწარმოებები, ოპერეტები („შეიეკი ომში მიდის“, „სიურპრიზების დღე“), მუსიკა ორმოცდაათზე მეტი სპექტაკლისა და კინოფილმისათვის. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ო. ლ. თევდორაძის დიდი დამსახურება ქართული სიმღერის დარგში. მას ეკუთვნის ოთხასზე მეტი სიმღერა. ემოციურობით, გულთათლობით, მოჭალაქეობრივი მგზნებარებით ამ სიმღერებმა კომპოზიტორს პოპულარობა მოუტანეს როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში. ო. ლ. თევდორაძის სამოცდაათამდე სიმღერა აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკური კონკურსების პრემიებით სამხედრო-პატრიოტული თემისადმი მიძღვნილი სიმღერებისათვის მას მიენიჭა საპატიო ჯილდო — ა. ალექსანდროვის სახელობის ვერცხლის medალი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ო. ლ. თევდორაძე აღსავსე იყო შემოქმედებითი მისწრაფებებით. მის უახლოეს თხზულებას — „ოდას ეეორგიევსკის ტრაქტატისადმი“ ახლახან მიენიჭა რესპუბლიკური შემოქმედებითი კონკურსის პრემია.

ო. ლ. თევდორაძის შემოქმედებითი დამსახურება აღინიშნა საპატიო წოდებებითა და სახელმწიფო ჯილდოებით.

თვალსაჩინო ქართველი კომპოზიტორის, უანგარო, გულისხმიერი ადამიანის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მუსიკის მოყვარულთა, მისი შემოქმედების მრავალი თაყვანისმცემლის გულში.

ე. ა. შევევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერკეზია, ნ. შ. ჯანბერიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, გ. შ. ორჯონიკიძე, ნ. ვ. დუმბაძე, ე. დ. ამაშუკელი, დ. ა. ალეიქსიძე, ე. ნ. შენგელაია, ო. ვ. გორდელი, ა. ვ. ბალანჩივაძე, ვ. შ. დავითაშვილი, გ. ა. უანჩელი, ჯ. ი. კახიძე, ნ. ლ. ბამბისაშვილი, ა. დ. მაჭავარიანი, შ ვ. მშველიძე, გ. გ. სიხარულიძე, ს. თ. ციცაძე.

მოძრაობის უსაფრთხოებისათვის

როგორ ხდება ავარიები

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების, № 2656 ავტოკოლონისა და საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელები იმის მაგვრად, რომ თავიანთი დანაშაული ეღიარებინათ, ერთმანეთისადმი საყვედურსა და ბრალდებებს გამოთქვამდნენ. როგორც აღინიშნა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებისა და ავტოტრანსპორტის საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურმა საშუშაო ქვეჯგუფმა, რომელსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ვადაჭკორია მეთაურობს, კასპის რაიონში მომხდარ ავტოავარიაში ბრალი მიუძღვით ტრანსპორტის მუშაკებსაც და ტურიზმის ორგანიზატორებსაც. საქმე კი ასე იყო:

რამდენიმე დღის წინათ „მშენიდღესაწოლის“ რესტის საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა გადაწყვეტეს ექსკურსიოსიდ წასულიყვნენ ლანჩხუთის რაიონში. როცა უკან ბრუნდებოდნენ, კასპის რაიონის ტერიტორიაზე მძღოლმა თავი ვერ გაართვა მართვას და ავტობუსს ავარია მოუვიდა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაიღუპა ცხრა წლის ბავშვი, რვა დაშავებული მგზავრი რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს.

ამ შემთხვევის გაძოძიებამ გამოაკლინა ავარიის გამომწვევი მიზეზები. ეგრეთ წოდებული ექსკურსია თანამდებობითი დარღვევებით მოეწყო. ჯერ ერთი, „ექსკურსანტებს“ არათანარი სურვილი არ ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ღირსშესანიშნაობანი, ისინი, როგორც აღმოჩნდა, დაკრძალვაზე მიდიოდნენ. ამ დროს კი „ექსკურსიის“ სახსრები პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გაიღო. მოგზაურობისა და ექსკურსიების საქალაქო ბიუროს ხელმძღვანელებს არ გამოუყვიათ ავტობუსის მეორე მძღოლი და ექსკურსიამძღოლი, რადგან აშკარად იცოდნენ „მოგზაურობის“ ნამდვილი მიზეზი. თვით № 2656 ავტოკოლონაში რეისისათვის გამოყვეს ავტობუსი, რომელსაც არ ეკარგოდა წინა სალტეები. მძღოლმა ლ. ახალაძემ, როცა თბილისში ბრუნდებოდა, ანგარების მიზნით მანქანაში რვა კაცი ჩასვა.

ჯილდოების გადაცემა

ამას წინათ ჯილდოები გადაეცათ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ სამეურნეო მუშაკთა ჯგუფს, საგგმო ორგანოების თანამშრომლებს, მეცნიერებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ჟურნალისტებს, მათ გადაეცათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, აგრეთვე სიგელები „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის“, „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის დმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მთავარი ინჟინერი ა. პ. იგნატოვი, რესპუბლიკის მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი მ. ა. ხუციშვილი და სხვები.

ჯილდოების გადაცემისას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულებს, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი წარმატებები საქმიანობაში. (საქინფორმი).

● 26 აგვისტო, 1983 წ. ●

საშიში კურსით

პრეზიდენტ რ. რეიგანის მორიგი მილიტარისტული გამოსვლა

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მრეწველობის უდიდეს ცენტრში სიეტლში (ვაშინგტონის შტატი) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მილიტარისტული ორგანიზაციის „ამერიკული ლეგიონის“ ყოველწლიურ ყრილობაზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ვაშინგტონი აპირებს განაგრძოს გლობალური სამხედრო მზადების გაძლიერებისა და გამალებული ბირთვული შეიარაღების განგრძობის უაღრესად საშიში კურსი.

თავის გამოსვლაში, რომელსაც აშკარად ეტყობოდა მეორე ვადით რეგანის ხელახალი არჩევისათვის გაჩაღებული კამპანიის ნიშანი, თეთრი სახლის მეთაურმა პრეზიდენტის პოსტზე თავის ერთერთ უმნიშვნელოვანეს „მიღწევად“ დაასახელა ის, რომ დაჩქარებული ტემპით ხორციელდება „ამერიკის ხელახალი შეიარაღების“ მასირებული პროგრამა, რომლისთვისაც დაგეგმილია 2,3 ტრილიონ დოლარზე მეტის დახარჯვა. ამასთან მან განაცხადა, რომ მთავრობა „კიდევ უფრო მეტს გააკეთებს“ სამხედრო მზადების გაძლიერების დარგში, ხაზი გაუსვა, რომ თავის უპირველეს ამოცანად მიაჩნია უსწრაფესად „განაახლოს“ შეერთებული შტატების სტრატეგიული ბირთვული პოტენციალი. კერძოდ. პრეზიდენტი დაბეჯითებით მოითხოვდა რაც შეიძლება სწრაფად შესრულდეს „მექს“ ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, აგრეთვე „მიჯიტმენის“ ახალი სტრატეგიული სარაკეტო სისტემის, „ბ-1“ სტრატეგიული ბომბდამშენებისა და „ტრაიდენტის“ ტიპის ბირთვული წყალქვეშა ნავების შექმნისა და განლაგების პროგრამა.

პრეზიდენტმა თავდაყირა დაყენა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები და ეს უპრეცედენტო სამხედრო მზადება გაამართლა იმით, თითქოს შეერთებული შტატები დიდხანს ავლენდა „ცალმხრივ თავშეკავებას“ თავისი ბირთვული არსენალების გაძლიერებაში და ახლა იძულებულია „ინიციაციური დანაკარგი“. ეს „არგუმენტი“ აშკარად გამიზნულია საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისათვის. თვით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, 70-იან წლებში, რომლებსაც პრეზიდენტი ვითომდა ამერიკის „უმოქმედობის“ პერიოდად ასაღებდა, პენტაგონმა მრავალგზის გაზარდა ბირთვული მუხტების რაოდენობა თავის სტრატეგიულ რაკეტებზე, აგრეთვე დაამუშავა სტრატეგიული იარაღის ახალი სისტემები, რომლებსაც ახლა უშვებენ წარმოებაში.

ცდილობდა რა მიეჩქმალა აგრესიული არსი ამ მილიტარისტული პროგრამებისა, რომელთა მიზანია დაარღვიონ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ამჟამად არსებული დაახლოებითი სამხედრო წონასწორობა და გააჩაღონ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი, პრეზიდენტი ენად გაიკრიფა თავის „მშვიდობისმოყვარეობაზე“ ლაპარაკის დროს. ეს მტკიცებები ადმინისტრაციის მეთაურს ორი მიზნით დასჭირდა. ჯერ ერთი, როგორც ეი-ბი-სი ტელეკომპანიამ აღნიშნა, რეიგანი რეგერანსს უკეთებდა. ამობრჩევლებს, რომლებიც სულ უფრო მეტ შეშფოთებას გამოხატავენ ვაშინგტონის მილიტარისტული კურსის გამო. „პრეზიდენტის მომხრენიც კი აღიარებენ, რომ ქვეყანაში ფართოვდება მსოფლიოს ყველა რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევისადმი ოპოზიცია და რომ საარჩევნო კამპანიის უმნიშვნელოვანესი საკითხი სწორედ ის საკითხი იქნება, თუ როგორ გააქარწყლონ შეშფოთება ომის გამო, რომ რეიგანი ქვეყანას ომისაკენ უბიძგებს“, — აღნიშნა მან. მეორე, როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო აღნიშნავს, რეიგანის მშვიდობისმოყვარული რიტორიკა მიზნად ისახავს ადვილად მიაღებინოს კონგრესს კანონპროექტი 1984 საფინანსო წლისათვის სამხედრო ასიგნებათა შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სახსრებს ახალ სახეობათა სტრატეგიული იარაღის შექმნის პროგრამების განხორციელებისათვის.

ცდილობდა რა შეცდომაში შეიყვანა ამერიკის საზოგადოებრიობა ფართო წრეები, რომლებიც მხარს უჭერენ გამალებული ბირთვული შეიარაღების შეწყვეტას, რეიგანი ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკებაზე შეინიშნება რაღაც „დამაიმედებელი ძვრები“ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების დარგში. ეს პრეზიდენტის შეგნებული ცდაა მოატყუოს საზოგადოებრიობა. რადგან ვაშინგტონის პოზიციამ ჟენევის მოლაპარაკება ჩიხში მოაქცია და გამორიცხა მორიგების მიღწევის შესაძლებლობა, ვინაიდან მიზნად ისახავს საბჭოთა კავშირის ცალმხრივ გაზნაარაღებას. არსებითად იძულებული იყო ეღიარებინა ეს თავად რეიგანსაც, რომელმაც განაცხადა, რომ ჟენევაში შეთანხმების მიღწევამდე ჯერ კიდევ შორიაო. მაგრამ ამასთან მან გასაგები გახადა, რომ თეთრი სახლი არ აპირებს რაიმე იღონოს იმისათვის, რომ ჟენევაში დიალოგი ნამდვილად კონსტრუქციული და ნაყოფიერი გახდეს.

ო. ლ. თევდორაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

25 აგვისტო

გმირის გახსენება



სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი თავის თავს ყველაზე მეტად შრომის დროს წარმოა

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსი

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის საშუალო სკოლის ფიზიკის კაბინეტში.

ს. ედიშერაშვილის ფოტო.

შეხვედრა მკითხველებთან

ამ დღეებში თელავის, გორისა და ცხაკაიას რაიონებში გაიმართა გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა კონფერენციები.

მკითხველებმა გამოთქვეს საყურადღებო მოსაზრებანი, კონკრეტული წინადადებები, რომლებიც გაზეთის რედაქციას დაეხმარება სკკ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გაზეთის ამოცანებზე, მის გეგმებზე მკითხველებს ესაუბრნენ და მათ მრავალრიცხოვან შეკითხვებს უპასუხეს გაზეთი „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა ა. ზურაშვილმა, სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგეებ ვ. გოზალიშვილმა და უფროსმა კორესპონდენტმა ვ. კასრაძემ.

ჭადრაკის დაფებთან

თბილისში გრძელდება ვეტერან გოგლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მოჭადრაკე ვაჟთა მეექვსე საერთაშორისო ტურნირი. მესამე ტურის პარტიებიდან აღსანიშნავია სტურუას შეხვედრა ველიჩკოვიჩთან. რთულ მანევრულ ბრძოლაში თბილისელმა ოსტატმა უირესი პოზიცია მიიღო, მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა და ორივე მოწინააღმდეგე სასტიკ ცაიტნოტში მოხვდა. ამ ეტაპზე ქართველმა ოსტატმა შესანიშნავად ითამაშა და არა მარტო გაათანაბრა მდგომარეობა, არამედ ძლიერი იერიშით პარტია მოსაგებ პოზიციამდე მიიყვანა. პარტია გადაიდო, მაგრამ სტურუას მოგება ეჭვს არ იწვევს. გურგენიძე დამარცხდა გაგრიკოვთან, ადამსკი — ოლთან. დაბოლოს მნაცაკანიან-გუფელდი, გიორგაძე-ოგაეროსი. მეოშედეუბილავს და კიარნერ-ჰენლის პარტიები გადაიდო. ზაიჩიკის პარტია ფორიშორთან არ შემდგარა. მეოთხე ტურში ველიჩკოვიჩმა დაამარცხა მნაცაკანიანი, ოლმა-გიორგაძე, დაზოვდნენ ადამსკი- სტურუა, გუფელდ-კიარნერი, ჰენლი-გავრიკოვი და ფოშორმ-მურშედი. გურგენიძე-ზაიჩიკის პარტია არ შედგა. ოთხი ტურის შემდეგ გაგრიკოვს სამი ქულა აქვს, გუფელდს — 2,5, სტურუას — 2 და ერთი გადადებული პარტია.

ბანოვერში დამთავრდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი. ბოლო მეთხუთმეტე ტურში ა. კარპოვი დაუზავდა ს. ბუაბისს (ტუნისი), თამაზ გიორგაძე — ბ. ოსტერმაიერს (გფრ). მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა 11 ქულით პირველი ადგილი მოიპოვა. თბილისელმა დიდოსტატმა 10,5 ქულა დააგროვა და მეორე სპატიო ადგილი დაიკავა. **ქართველი მოჭადრაკისათვის ეს შედეგი უთუოდ დიდი წარმატება გახლავთ. მან ხომ ერთადერთ მეტოქეს, თანაც მსოფლიო ჩემპიონს მისცა დაწინაურების შესაძლებლობა.** მესამე ადგილზე გამოვიდა ი. ბალაშოვი — 10 ქულა, მეოთხეზე ე. ტორე (ფილიპინები) — 9 ქულა.

სოჩში მიმდინარეობს ვაჟთა და ქალთა საერთაშორისო ტურნირები. ხუთი ტურის შემდეგ ვაჟთა შორის ლიდერობს ბ. ივკოვი (იუგოსლავია) — 3 ქულა, **ქალთა შეჯიბრებაში კი 4,5 ქულით დაწინაურდა თბილისელი ნინო გურიელი.**

საფრანგეთის ქალაქ ბელფორში გრძელდება 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე ქ. გეორგიევს (ბულგარეთი) 9 ქულა ჰქონდა, ლენინგრადელ სალოვს— 8, მოსკოველ ე. ბარეევს და ს. საიდს (არაბთა გაერთიანებული საამიროები) 7-7 ქულა.

იუგოსლავიის ქალაქ ნიკშიჩში დაიწყო მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. პირველ ტურში საბჭოთა მოჭადრაკემ გ. კასპაროვმა 54-ე ნაბიჯზე მოუგო სეირავანს (აშშ). უმეტესი პარტიები ყაიმით დასრულდა: პეტროსიან-ტიმანი (ჰოლანდია), ტალიოუბოვეიჩი (იუგოსლავია), საქს (უნგრეთი)-ანდერსონი (შვეცია), ივანოვიჩ-ნიკოლიჩი (ორივე იუგოსლავია), ლარსენი (დანია)-სპასკი. უნგრელმა დიდოსტატმა პორტიშმა ინგლისელ მაილსთან პარტია უკეთეს პოზიციაში გადადო.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 27-ე ტურის 7 მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: კიევის „დინამო“-„ნისტრუ“ — 3:0, „მეტალისტი“-„ჩერნომორეცი“ — 2:0, მოსკოვის „ტორპედო“-„შახტიორი“ — 0:0, „ალგირისი“-მინსკის „დინამო“ — 2:1, თბილისის „დინამო“-„ფახთაქორი“ — 1:1, ცსკა-„დნეპრი“ —0:2, ქუთაისის „ტორპედო“-მოსკოვის „დინამო“ — 0:2, დღეს ამ ტურის კიდევ ორი მატჩი მოეწყობა: „არარატი“-„სპარტაკი“ და „ნეფთჩი“-„ზენიტი“.

რიგბი. სსრ კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩი მოსკოვის „ფილიმ“ გამართა კიევის „ავიატორთან“. გაიმარჯვეს კიეველებმა ანგარიშით 9:6.

ველოსპორტი. ციურიხში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი ტრეკზე რბოლაში. 1000 მეტრზე ჰიტში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა ველოსიპედისტმა ს. კოპილოვმა—1.03,94. 4 კილომეტრზე გამოდგენებით ინდივიდუალურ რბოლაში უძლიერესი იყო ვ. კუპოვეცი — 4.37,89.

ფარალელოგრამა. რომში გრძელდება ევროპის მეთექვსმეტე ჩემპიონატი. გთავაზობთ საბჭოთა სპორტსმენების შედეგებს: 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში მეორე ადგილი დაიკავა ნ. დროგინმა. ამავე სახეობაში ქალთა შორის მეორე იყო ტ. ალიაბიევა. ვაჟთა შორის კოშკიდან ხტომაში ყველას აჯობა დ. ამბარცუმიანმა. მეორე ადგილზე გამოვიდა ვ. ტროშინი. 100 მეტრზე ვაჟთა შორის თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროს მედალი მოიპოვა რ. ჟულპან — 1.03,32. ასევე ოქროს მედალს დაეუფლა ს. ზაბოლოტნიკი. მან ეს გამარჯვება მოიპოვა 200 მეტრზე გულღმა ცურვაში. ა. მარკოვსკი მესამე გახლდათ 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 54,81. ქალთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მესამე ადგილი დაიკავა ი. ლარიჩევამ —4.12,90 (სსრ კავშირის რეკორდი), სოლო 200 მეტრზე ბრასით ცურვაში მესამე იყო ო. ზელენკოვა —2.33,10. 4X200 მეტრზე ესტაფეტაში სსრ კავშირის ნაკრები მეზუთე ადგილზე გამოვიდა. სხვებთან ერთად ესტაფეტაში იასპარეზა თბილისელმა ი. გერასიმოვამ. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გერასიმოვა მთავარ ფინალში ვერ მოხვდა, ხოლო 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან მეექვსე ადგილი დაიკავა (4.52,99). სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრებმა ოთხი მატჩი გამართა, ოთხივე მოიგო (რუმინელებთან —16:11, ესპანელებთან —10:9, იტალიელებთან 9:6 და ჰოლანდიელებთან —8:6) და 8 ქულით ლიდერობს: მომდევნო ადგილზე არიან უნგრელები — 7 ქულა.

ჩოგბურთი. მონრეალის საერთაშორისო ტურნირში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა შვედმა ანდრეას იარიდმა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 83-ე ადგილზეა. მან ნახევარფინალში დამარცხა უიმბლდონის შეჯიბრებაში გამარჯვებული ჯონ მაკინროი — 6:3, 7:6. მეორე ნახევარფინალში ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა ჯიმი კონორსი (აშშ) — 6:1, 6:3. გადამწყვეტი მატჩი მოიგო ლენდლმა ანგარიშით 6:2, 6:2.

რედაქტორის მოადგილე
გ. ნაბუღებია.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს მიღებას 1983-1984 სასწავლო წლისათვის

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებათა სასწავლო ჯგუფებში წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებაზე. სწავლების ვადა 10 თვეა.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან

სპეციალობებზე:

თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ბაზაზე: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (20 ადგილი); თვითმფრინავმშენებლობა* (20 ადგილი); ავტომატიკა და ტელემექანიკა* (15 ადგილი); საინფორმაციო-საზომი ტექნიკა* (15 ადგილი); მართვის ავტომატიზებული სისტემები* (15 ადგილი). გასაუბრება — მათემატიკასა და ფიზიკაში

თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელმავალმშენებლის“: ელექტრული მანქანები* (10 ადგილი); სამრეწველო ელექტრონიკა* (15 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

(თბილისის საწარმოო გაერთიანების „ჩარხმშენებლის“: — მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (10 ადგილი); ელექტრონული გამომთვლელი მანქანები* (10 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში; შავი და ფერადი ლითონების სამსხმელო წარმოება (5 ადგილი) — მათემატიკასა და ქიმიაში.

თბილისის ვაგონშემკეთებელი ქარხნის: სამრეწველო საწარმოთა, ქალაქებისა და სოფლის მეურნეობის ელექტრომომარაგება (10 ადგილი); ვაგონმშენებლობა და საგაგონო მეურნეობა (10 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში;

თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის“ რადიოაპარატების, კონსტრუქციები და წარმოება (15 ადგილი). ელექტრონული გამომთვლელი მანქანები* (5 ადგილი)· — მათემატიკასა და ფიზიკაში; შედუღების წარმოების მეტალურგია და ტექნოლოგია (5 ადგილი)— მათემატიკასა და ქიმიაში.

„თბილისგვირაბმშენი“ („მეტრომშენი“): სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (20 ადგილი); თბომომარაგება და ვენტილაცია (15 ადგილი); წყალმომარაგება და კანალიზაცია (10 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის საწარმოები: ავტომატური ელეტროკავშირგაბმულობა* (20 ადგილი); მრავალარხიანი ელეტროკავშირგაბმულობა* (5 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა: შავი ლითონების მეტალურგია (25 ადგილი); ლითონების წნევითი დამუშავება (25 ადგილი), — მათემატიკასა და ქიმიაში.

რუსთავის ქიმიური ქარხნის და გაერთიანება „აზოტის“: არაორგანული ნივთიერებათა და ქიმიური სასუქების ტექნოლოგია* (25 ადგილი). — მათემატიკასა და ქიმიაში; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (10 ადგილი); მართვის ავტომატიზებული სისტემები* (15 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

საწარმოო გაერთიანების „ტყიბულქვანახშირის“: — სასარგებლო წიაღისეულის საბადოთა მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგია და კომპლექსური მექანიზაცია* (20 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში;

საწარმოო გაერთიანების „ჭიათურმანგანუმის“: — მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა* (10 ადგილი); სამთო-სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია* (10 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში;

ქ. ბათუმის სამრეწველო საწარმოების: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები (15 ადგილი); ელექტრული ქსელები და სისტემები (10 ადგილი); მათემატიკასა და ფიზიკაში;

ხაჩხერის ბამბეულის დართვის კომბინატის მშენებლებისათვის: — მიწისქვეშა ნაგებობათა და შახტების მშენებლობა* (10 ადგილი); სამთო სამუშაოთა ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია* (10 ადგილი) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

ხაჩხერის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების: ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა* (10 ადგილი) გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (5 ადგილი), ქსოვა* (10 ადგილი)— მათემატიკასა და ქიმიაში;

ბორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების: ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა* (10 ადგილი) გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (5 ადგილი), ქსოვა* (10 ადგილი)— მათემატიკასა და ქიმიაში;

ქ. თბილისის მხუბუჭი მრეწველობის საწარმოების: სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია (5 ადგილი); ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია (5 ადგილი); ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა* (5 ადგილი), ქსოვა* (5 ადგილი), გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (5 ადგილი); ტრიკოტაჟის წარმოება (5 ადგილი) — მათემატიკასა და ქიმიაში.

ბორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების: ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების დართვა* (10 ადგილი) გამომყვანი წარმოების ქიმიური ტექნოლოგია და მოწყობილობა (5 ადგილი), ქსოვა* (10 ადგილი)— მათემატიკასა და ქიმიაში;

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან

(ქართული სექტორის სპეციალობებზე)

თითო ადგილი — აგრონომია* (ასპინძის, ქარელის, გურჯაანის, თელავის, ლაგოდეხის, მარნეულის, დმანისის, ვანის რაიონებს) — მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა* — (გარდაბნის, თეთრიწყაროს, სამტრედიის რაიონებს), აგრომელიორაცია* — (სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის რაიონებს); — ზოოსაინჟინრო*—(ვანის, ახმეტის, წალკის, ყაზბეგის, ორჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ხობის, წალენჯიხის, ჩოხატაურის, მესტიის, გულრიფშის, ხულოს, შუახევის რაიონებს); სავეტერინარო — (ბოგდანოვკის, ხაშურის, წალკის, ლენინგორის, აბაშის რაიონებს) — ფიზიკასა და ქიმიაში;

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია* (ბორჯომის, სიღნაღის, დუშეთის, წულუკიძის, ცაგერის, ცხაკაიას რაიონებს) — სატყეო-სამეურნეო* (ბორჯომის, გეგეჭკორის, გაგრის, ხელვაჩაურის, შუახევის რაიონებს) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია* — (თიანეთის, ლენინგორის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, ცაგერის, ლენტეხის, მესტიის რაიონებს); — საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოფლის მეურნეობაში* — (ასპინძის, დმანისის, თიანეთის, უაზბეგის, ამბროლაურის, მესტიის, გულრიფშის, ხულოს რაიონებს) — მათემატიკასა და გეოგრაფიაში.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტთან

— **თითო ადგილი** — სუბტროპიკული მემცენარეობა — (ქართული სექტორი). (წყალტუბოს, სამტრედიის, წულუკიძის, თერჯოლის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, გეგეჭკორის, ჩოხატაურის, მესტიის რაიონებს) — რუსული სექტორი — (გულრიფშის, გაგრის, ოჩამჩირის რაიონებს); — დეკორატიული მებაღეობა — (ქართული სექტორი) — (წყალტუბოს, გალის, გუდაუთის, ქობულეთის, ხულოს რაიონებს) — ბიოლოგიასა და ფიზიკაში.

— ტექნოლოგიური — (ქართული სექტორი) — (ვანის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის, მახარაძის, ლანჩხუთის, გულრიფშის, ქობულეთის, შუახევის რაიონებს) — რუსული სექტორი: (გუდაუთის, ოჩამჩირის, ხულოს რაიონებს) — მათემატიკასა და ქიმიაში; — მექანიზაცია (ქართული სექტორი) (ქარელის, სამტრედიის, მაიაკოვსკის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ტყიბულის რაიონებს) ამაშის რაიონს — 2 ადგილი. რუსული სექტორი (ოჩამჩირის, ხელვაჩაურის, შუახევის რაიონებს) — მათემატიკასა და ფიზიკაში.

სამრეწველო საწარმოების ბაზაზე არსებულ სასწავლო ჯგუფებში, წარმოების მოუწყვეტლივ სწავლებაზე მიიღებიან მოწინავე ახალგაზრდები, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოებში.

რესპუბლიკის სოფლის რაიონებისათვის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე გამოყოფილი ლიმიტებით სარგებლობის უფლება აქვს ამ რაიონებიდან გაგზავნილ ყველა აბიტურიენტს.

ქუთაისის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტთან არსებული მოსამზადებელი განყოფილების სასწავლო ჯგუფებში წარმოებას მოუწყვეტლივ, რომლებიც ფუნქციონირებენ ქ. თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოების ბაზაზე, საბუთები მიიღება თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების მოსამზადებელ განყოფილებებზე აგრეთვე მიიღებიან ერთი წლის სტაჟის არმქონე ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მ. ფ. კურსდამთავრებულნი, რომლებიც არიან მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრები.

შერჩევისა და მივლინების საკითხს უშუალოდ წყვეტს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის ხელმძღვანელის, სკოლის დირექტორის და კომკავშირული ორგანიზაციის რეკომენდაციით (მიმართვის ფორმა თან ერთვის).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული მოსამზადებელი განყოფილების ჯგუფში წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებაზე საეტერინარო სპეციალობით მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ საშუალო საეტერინარო განათლება და მუშაობენ მიღებული სპეციალობით არანაკლებ ერთი წლისა.

წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებაზე ზემოთაღნიშნული მოსამზადებელი განყოფილებების იმ სპეციალობებზე, რომლებიც აღნიშნულია ვარსკვლავით, მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი საშუალო სპეციალური განათლება, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლება ან მუშაობენ უმაღლეს სასწავლებელში არჩეული სპეციალობით, აგრეთვე მონათესავე სპეციალობებით.

წარმოებას მოუწყვეტლივ სწავლებაზე ქუთაისის ავტომაქარხნის ბაზაზე არსებულ ჯგუფებში მიიღებიან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს №4 ტრესტში კოკავშირული საგზურებით მივლინებული ახალგაზრდები შემდეგ სპეციალობებზე: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები — 3 ადგილი; ავტომობილები და ტრაქტორები —2 ადგილი; შედა წვის ძრავები — 1 ადგილი; შედუღების წარმოების მოწყობილობა და ტექნოლოგია — 1 ადგილი.

რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების სასწავლო ჯგუფებში წარმოებას მოუწყვეტლივ შესვლისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ უპირატესობით სარგებლობენ ახალგაზრდები, რომელთაც გაგზავნის საკითხის განხილვის პერიოდისათვის აქვთ აღნიშნულ საწარმოში მუშაობის უფრო ხანგრძლივი უწყვეტი სტაჟი, მაგრამ არანაკლებ ერთი წლისა.

მოსამზადებელ განყოფილებაზე გამოგზავნილებმა უმაღლესი სასწავლებლების რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, მომართვა მოსამზადებელ განყოფილებაზე მივლინების შესახებ, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, ცნობა ყოველთვიური გამომუშავების შესახებ (კოლმეურნეებმა—ცნობა საზოგადოებრივ მეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მინიმუმის ყოველთვიური შესრულების შესახებ), დახასიათება ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პარტიული ორგანიზაციის მდივნის, ადგილკომის თავმჯდომარის, კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის ხელმოწერით. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებული— საწარმოო ბრიგადის წევრის დახასიათებას ხელს აწერენ კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა, ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის დირექტორი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. დოკუმენტები გაფორმებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპიან ფურცელზე, სადაც აღნიშნული უნდა იყოს სარეგისტრაციო ნომერი და გაცემის თარიღი (დამოწმებული მრგვალი ბეჭდით და დოკუმენტის გამცემი პირის პირადი ხელმოწერით), საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), 6 ფოტოსურათი (უქუდოდ 3X4 სმ.), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №286), პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

კოლექტივის საერთო კრებაის გადაწყვეტილებას მოსამზადებელ განყოფილებებზე აბიტურიენტის გაგზავნის შესახებ, აგრეთვე წარმოდგენილი სხვა საჭირო საბუთების სისწორეს ადასტურებენ შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები.

სასწავლო ჯგუფებში მივლინებულმა პირებმა საბუთები უნდა წარმოადგინონ ამა წლის 15 სექტემბრამდე ჩათვლით. გასაუბრება და შერჩევა მოხდება ადგილებზე.

გასაუბრების შედეგები ჯამდება შემრჩევი კომისიის სხდომაზე ცალკე ჯგუფების მიხედვით თითოეული კანდიდატურის ინდივიდუალური განხილვის გზით.

მეცადინეობა დაიწყება ამა წლის 1 ოქტომბერს.

მსმენელები, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილების სასწავლო ჯგუფებს წარმოებას მოუწყვეტლივ ჩაირიცხებიან უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე, ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ წარჩინებით, ჩარიცხვისას სარგებლობენ საშუალო სკოლის ოქროს მედალისანისათვის დადგენილი უპირატესობით.

სასწავლებლის პედსაბჭოს უფლება აქვს შესაბამის საეცალობაზე უმაღლესი სასწავლებლის დღის განყოფილებაზე სწავლისათვის რეკომენდაცია მისცეს კურსდამთავრებულებს 10 პროცენტის ფარგლებში, რომელთაც ყველა საგანში შეფასება ექნებათ „ფრიადი“, „კარგი“ და წარმატებით ჩაბარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას, ამასთან მოწინავენი იქნებიან სასწავლებლის საზოგადოებრივ საქმიანობაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლებელი

კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1983 წლისათვის ინსტიტუტთან არსებულ ასპირანტურაში წარმოებას მოუწყვეტლივ:

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება — 1 ადგილი, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დიაგნოსტიკა და თერაპია — 1 ადგილი, ვეტერინარული ფარმაკოლოგია ტოქსიკოლოგიით — 1 ადგილი, ზოოჰიგიენა — 1 ადგილი;

წარმოებას მოუწყვეტლივ: კერძო ზოოტექნია (მეცხვარეობა) — 1 ადგილი.

ასპირანტურაში წარმოებას მოუწყვეტლივ მიიღებიან 35 წლამდე ასაკის, წარმოებას მოუწყვეტლივ — 45 წლამდე ასაკის მოქალაქენი, რომლებმაც გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და არჩეულ სპეციალობაში აქვთ სულ ცოტა ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და გამოიჩინეს უნარი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი, შეიძლება დაშვებულ იქნენ ასპირანტურაში მისაღებ გამოცდებზე უშუალოდ უმაღლესის დამთავრებისთანავე საინსტიტუტო (საფაკულტეტო) საბჭოს რეკომენდაციით.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი (ნოტარიულად შემოწმებული) დანართთუთრთ, ავტობიოგრაფია; კაღრების აღრიცხვის ფურცელი 3 ფოტოსურათით (4X6); დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან, შრომის წიგნაკის ამონაწერი, დამოწმებული შრომების ხელმძღვანელის მიერ, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), მოწმობა (ფორმა 3,2) საკანდიდატო გამოცდების ჩაბარების შესახებ, გამოქვეყნებული შრომების სია ან რეფერატი არჩეულ სპეციალობაში, საინსტიტუტო (საფაკულტეტო) საბჭოს ოქმის ამონაწერი იმ პირთათვის, რომლებიც აბარებენ ასპირანტურაში უშუალოდ უმაღლესის დამთავრებისთანავე.

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.

მისამართი: 380107 — თბილისი — კრწანისი, ავტობუსი № 23.

ქ. თბილისის № 74 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1983-1984 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

ავტოგასამართი სადგურების და ნავთობბაზის ელექტრომექანიკოსები (ბენზინის გაცემის უფლებით, რესპუბლიკის რაიონებისათვის) სწავლება 1 წელი;

საკერავი მანქანების შემკეთებელი — სწავლება 1 წელი;

ფერადი ტელევიზორების შემკეთებელი — სწავლება 2 წელი;

ტანსაცმლის ინდივიდუალური მკერავები — სწავლება 1-2 წელი;

ქიმწმენდის მეაპარატეები — სწავლება 1 წელი;

მიმღები პუნქტების მოლარეები — სწავლება 1 წელი.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე 17-დან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის ახალგაზრდები. სასწავლებელში ჩარიცხულ ახალგაზრდებს მიეცემათ სტიპენდია დადგენილი წესით.

წარჩინებით კურსდამთავრებულებს უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში დღის დასწრებულზე.

სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. განცხადება უნდა შემოიტანოთ დირექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), დახასიათება, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286). 4 ცალი ფოტოსურათი (3X4), პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

სახსწავლებლის მისამართია: თბილისი — 68. საქარხნო რაიონი, ჯიბიანაძის ქ. № 10. ტელეფონი: 71-82-85, 71-21-20, 71-15-66. ტრანსპორტი: ავტობუსი № 10 და სამარშრუტო ტაქსი № 5 — მეტროს სადგურ „სამგორიდან“, ავტობუსი № 51 — მეტროს სადგურ „26 კომისრიდან“, ავტობუსი № 16 — კოლმეურნეობის მოედნიდან.

თბილისის № 60 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1983-84 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ხარატი; მექანიკური სამუშაების ამწყობი ზეინკალი; ზეინკალ-მეიარაღე; მტვიფრავი; ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზებისა და დანადგარების ოპერატორი; რადიოაპარატურისა და ხელსაწყოების ელექტრომემონტაჟი, რადიოაპარატურისა და სახაზო კავშირის აპარატების კონტროლიორი; მხაზველი; რადიოდეტალების წარმოების ტექნოლოგიურ მოწყობილობათა გამწყობი.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება გათვალისწინებულია თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებისათვის.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელში მიიღებიან 17-30 წლამდე ასაკის საშუალო განათლების მქონე ქალები და ვაჟები, რომელთაც პროფესიების მიხედვით მიეცემათ სტიპენდია 30-70 მანეთის ოდენობით და საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხა დადგენილი წესით.

წარჩინებულ მოსწავლეებს მიეცემათ 25 პროცენტით გადიდებული სტიპენდია, სასწავლებელში ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, კომკავშირისა და საბაზო ორგანიზაციებიდან საგზურებით გამოგზავნილი ახალგაზრდები.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი განაწილებული იქნებიან სამუშაოდ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში.

სწავლის ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლის პერიოდი ითვლება სამუშაო სტაჟად. სწავლის პერიოდში წვევამდელებს ეძლევათ სამხედრო არმიის რიგებში გაწვევის გადავადება.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლესი სასწავლებლების საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე, კომკავშირისა და საბაზო ორგანიზაციებიდან საგზურებით გამოგზავნილი ახალგაზრდები.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი განაწილებული იქნებიან სამუშაოდ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანებაში.

სწავლა ხანგრძლივობა 10 თვეა. სწავლის პერიოდი ითვლება სამუშაო სტაჟად. სწავლის პერიოდში წვევამდელებს ეძლევათ სამხედრო არმიის რიგებში გაწვევის გადავადება.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლესი სასწავლებლებში ჩარიცხვისას უპირატესობით სარგებლობენ საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულნი, კომკავშირისა და საბაზო ორგანიზაციებიდან საგზურებით გამოგზავნილი ახალგაზრდები.

სასწავლებლის ადგილმამყოფელი: ქ. თბილისი, ბ. ბოლოკინის ქ. № 14. ტელეფონი: 71-32-85, 71-21-20, 71